

შელოცვა რადიოთი
(დიდი გოდების მცირე ნაკადი)

*რას მიქნევდით, რათ გინდოდით
ერთმანერთსა რითა ვგვანდით?
თქვენ მორჭმულნი თამაშობდით,
ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვბანდით.*
რ უ ს თ ვ ე ლ ი

*ეს არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და
მრავალთათვის დანთხეული, მისატყვევლად
ცოდვათა და
გასაწამებლად სიცოცხლისა.*

შალვა გორდელიანმა შეირთო იოჰანე ვახერერის ასული, მატლდა.
მეთერთმეტე თვეზე ქართველის გატაცებისა და გერმანელის თავყანისცემის
ნაყოფად დაიბადა ქალი.

სახელად ელი დაარქვეს.
(ნათლობის სახელი - ძველებური ელპიდა - საბუთებში დარჩა და დიდელის
ლოცვანში¹ მიწერილი ჩაკვდა).¹

იმ წელს სხვა არაფერი შემატებია ქართულ შვენებას. ისევ ძველებურად
სევდიანი სილამაზით წარმტაცი იყო თფილისი; თეთრი საბურავით თავწაკრული
ისევ ახალგაზრდა დარაჯად იდგა მყინვარი; ფაფარ-აყრილი შავი ზღვა შხეფს
მარგალიტათ აყრიდა ცინისძირს; ვარდ-შაისი არ შორდებოდა ქუთაისს. და ზურმუხტ
ცას ფიანდაზათ ქვე ეშლებოდა ალაზნის ველი. დიდი ხნის დაწერილი იყო „მერანი“,
„აჩრდილი“ და „ელგუჯა“; სიტყვა-სიტყვად სწეწდა, ეალერსებოდა, ხელის-ხელ
აგოგმანებდა შოთას, და მით თვრებოდა ერი.

დაიბადა ელი.
სხვა არაფერი შემატებია იმ წელს ქართულ მშვენიერებას.
მატილდას, თფილისში მუსიკის მასწავლებლათ გამოწერილი გერმანელის ქალს,
თავისი მიდრეკილებით და ნაცნობებით ოჯახში შემოჰქონდა ხელოვნების კულტი
და მისი ბეჯითი ცოდნა.

შალვა, დიდი მხედრის შვილი, და თვითონაც მხედარი, საკუთარი და მამის
ძველი შეგობრებისა და ნათესავეების მეოხებით ჰქმნიდა საერთო განვითარებით
შენელებულ მხედრულ სულს.

და უკანა ოთახებში კავკასიონის მთებიდან ჩამოყვანილი ძიძა-გამდელი ჰქსოვდა
ზღაპართა და თქმულებათა ფერად ხალიჩას.

ინსტიტუტმა დაუმატა ფრანგული.
ტოლამხანაგებმა ცეკვა და მიმოხრა.

და გასათხოვარი ელი პირველად გამოჩნდა ომში დაჭრილთა სასარგებლოთ
გამართულ ბალზე.²

¹ ლოცვანი - ლოცვების წიგნი, ლოცვების კრებული
² ბალი (ფრ.) - დიდი საცეკვაო საღამო; მეჯლისი, დიდი წვეულება.

სხვათა შორის იქ იყო
ულევი ქონების პატრონი,
მოხდენილი,
ზრდილი,
განათლებული,
ყველასგან მოწონებული,
გრაფი¹ ვლადიმერ ანდრეის ძე ბორენკოვი.
ფრონტიდან საიდუმლო საქმეებისათვის გამოგზავნილი,
დაჭრილი თავში ხრმლით,
და წმინდა გიორგით დაჯილდოვებული.
რაც თავისებურათ უკრავდა როიალს,
ცეკვავდა უებროთ,
ფანტავდა უანგაროთ.
ნათესავ-ნაცნობ-მეგობრების აღტაცებამ მამაც ჩაითრია. და გათამამებული
ელი გაჰყვა ამ უცხოს.

ჯვრის წერა.
სადილათ გადაქცეულ მცირე საუზმის შემდეგ, შეზარხოშებულმა საზოგადოებამ
ეტლებით, ავტომობილებით, კარეტებით² და ზოგმა ტრამვაით იერიში მიიტანა
თბილისის სადგურზე და ჟივილ-ხივილით, სიცილით, ღიღინით აიღეს
სალონ-რონოდა.³

უმრავლესობა აქ დაშორდა.
რონოდაში გაშლილი იყო სუფრა.
დანარჩენი მეორე სადგურზე გამოეთხოვა.
სუფრას მაინც უსხდნენ მეფე-დედოფალი და გრაფის ათასეულის ოთხიოდე
ოფიცერი.

სუფრა გაუტკბათ - ვერ შორდებოდნენ.
ჭიქა - ჭიქაზე.
არ მოსწონდა ელის ეს გაუთავებელი სმა, მაგრამ თავჯით იჯდა.
- ქალბატონი დაიღალა. - მოისვენოს. - შენიშნა ერთმა.
- აბა, აბა, მოისვენოს უსათუოდ: ჩვენ ისეთი ბარბაროსები ვართ, რომ ერთი-ორი
ჭიქა კიდევ გვწყურია.

- ჩემო კარგო, თუ მოსვენება გსურს, მოისვენე, ნუ მოგვერიდები. - და ქმარმა
ხელზე აკოცა.
- მართლა დავიღალე, მაპატიეთ. - ელი გავიდა.
არ მოსწონდა მთელი ეს ამბავი.

გაიხადა.
მიწვა,
მსახური გაისტუმრა.

¹ გრაფი (გერმ.) - თავადმანაურული მემკვიდრეობითი ტიტული
² კარეტა (პოლ.) - ყოველმხრივ დასურული, სარკმლებიანი ოთხთვალი ეტლი
³ სალონ-რონოდა - სალონ-ვაგონი, სალონი - მეზარეულისთვის განკუთვნილი ადგილი ტრანსპორტში

მცირე თვლები შემდეგ ათასგვარი შთაბეჭდილების სიმძიმემ (მთელი უკანასკნელი კვირე, დღე-მზადებამ და ღამე-მომავალზე ფიქრმა) მიაძინა.

ახალგაზრდა ოფიცრები სვამდნენ და სვამდნენ: რონოდებიდან შემოდოდა ახალ-ახალი ვგუფი ნაცნობებისა და უცნობებისა და ულოცავდა.

ქმარს მოაგონდა ცოლი.

შევიდა მასთან და, რომ დაინახა საბნით ოდნავ დაფარული ქალი, აღტაცებით შეჩერდა - ისე უზალო¹ იყო ქალის სხეული.

დაუბრუნდა ამხანაგებს.

უხმოთ დალია სავსე ჭიქა.

- გამოგადგეს, ვალოდი?

- ისეთი მშვენიერებაა, რომ...

- მინახავს უკეთესიც!..

- სტყუი, აი წამოდით ყველა... ყველას გაჩვენებთ, თუ რა ღვთაებაა...

- მოიცა... სირცხვილია!.. - ოდნავ შენიშნა ერთმა.

- ეს ჩემი საქმეა... ოღონდ ფეხ-აკრეფით. - ენის ბორძიკით უპასუხა ქმარმა. შევიდნენ.

ქმარი ლოგინის თავს მიადგა; სხვები დაშორებით დადგენ; დანარჩენი მორიდებით, კარებიდან უცქერდა.

ქმარმა სრულიად გადახადა საბანი.

- ეს მესმის!

- ამას მეც შევირთავდი!

- რა ფეხებია!..

ქალს გამოედვიდა.

- რა ამბავია, რა მოხდა? - გაცოფებული წამოხტა და საბნით ტანი დაიფარა. მაყურებელნი მიიმალნენ.

- არაფერი... ამხანაგებს უჩვენე შენი თავი.

- რა სადაგლობაა!.. გამშორდი!.. - ელიმ ინსტიქტიურათ მოსასხამს დასტაცა ხელი. მოიხურა და კარებისკენ გაექანა.

მოულოდნელად მატარებელმა უჩვეულო კივილი მორთო და შეჩერდა.

ელი გასავალს ეძებდა.

იპოვა.

უქუდოთ, ფეხშიშველი ჩამოხტა რონოდიდან, ველისკენ გაექანა, მაგრამ ღიანდაგის იქით მოაჯირ-შემოვლებული ხრამი დახვდა და ჩაჯდა.

რონოდის დერეფანში სხვა სული ტრიალებდა.

მატარებელს შემოხვეოდა

მზეზე დამწვარი,

გაშავებული,

გამტკვრიანებული,

მშიერი,

მთვრალი,

ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცთა პირველი ბრბო.

¹ უზალო - უნაკლო (ზადი - ნაკლი, წუნი)

- ჩვენც წაგვიყვანეთ! - უფრო მშვიდათ მოითხოვდა ერთი.

- წაგვიყვანებენ მაშ!.. თორემ გადმოვყაროთ ეს მუქთახორები!..

ხერხით, დაპირებით მატარებელი გააპარეს, და ჯარისკაცთა ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო დაცარიელებულ სივრცეზე მჯდომმა ქალმა.

- ეს გოგონა მაინც დაგვრჩა...

- თუ გაგვიძლო! - ხარხარებდა მეორე.

ელის წინ გროვდებოდა

მზეზე დამწვარი,

გაშავებული,

გამტკვრიანებული,

მშიერი,

მთვრალი,

ბრბო;

ერთმანეთს აჩერებდნენ, ყველას კი თავში უნდოდა მოქცეოდა.

და ვერცერთი ვერ ბედავდა პირველი ხელის შეხებას.

- გადავვარდები ხრამში, თუ კიდევ წამოიწევთ!.. - ძლივს წამოიძახა დასუსტებულმა ქალმა.

- ე, რა სისულელეს ამბობ! გვიწუნებ თუ? შენს ოფიცრებს ჩვენ ვჯობივართ, ღმერთმანი.

- ე, რას მისჩერებინართ მაგ ქალს - გაიხედეთ! კიდევ მატარებელი მოდის. ახლა მაინც აღარ გაუშვათ... ჩვენ თვითონ შევიდეთ, თორემ მოგვატყუებენ...

- ქართველის ხმაა!.. - გაუელვა თავში გონება დაკარგულ ელის.

და... გაიგონა ფუჩუნნი!

- ნუ გეშინია, გამომყევ ფეხ-მარდათ.

ახლოს აღარავინ სჩანდა. შორს კი ცეცხლმოკიდებულ საწყობებსა და იქვე შეჩერებულ მატარებელს შუა უხმოთ, თითქოს დარცხვენილი არიანო, მიმორბოდნენ ჯარისკაცები.

ელი და უცნობი მიდიოდნენ ხიდის ქვეშ ტლაპოში.

- სად მივდივართ?

- აქვეა სადგური, საბარგო მატარებელში ჩაგსვამ. ხმა არ დასძრა და როგორმე თბილისს მივიყვან. ოღონდ ფრთხილად და ნუ გეშინია.

დამტკვრეულ რკინებს შუა, რალაც ტომრებზე დიდი ხნის ჯანჯღალის² შემდეგ, თვალღია ძილისა და ცხადი სიზმრების შემდეგ, უცნობმა ელი რონოდიდან გადმოიყვანა და დახეული ფოსტალი³ გაუწოდა:

- ჩაიცვით... იერონიმე შვინდაძე, ნუ დამივიწყებთ...

- ამ გადარჩენისთვის არას დროს!..

პირველ შეხვედრილ ეტლში ჩაჯდა და მამის სახელში გაჩნდა.

¹ ფუჩუნნი - ჩურჩული (უხმოდ, მეტისმეტად ხმადაბლა, ჩუმად ლაპარაკი)

² ჯანჯღალი - ჯანჯღარი - ნჯღრევა, რყევა

³ ფოსტალი - ფლოსტი (უქუსლო საშინაო ფეხსაცმელი, რომელსაც საპირე თითზე აქვს)

- რა დაგემართა, შვილო? მაგრამ საკითხავიც აღარ ხარ... ის, ის, არამზადა. ორი სიტყვით აუხსნა.

და მერე ჩაიკეტა ოთახში.

მთელი ღამე და შემდეგი დღე ფიქრობდა, თვლემდა, კიდევ ფიქრობდა.

და რომ გამოვიდა, ისეთი მშვიდი, მხიარული სახე ჰქონდა, რომ მამას იამა შვილის სევდის გადაყრა და ეწყინა, უბედურების ადვილათ გადატანა, სირცხვილის არაფრათ ჩაგდება.

- შვილო, აქ ბოდვით იყო ზაალი, დახმარება ვერაფერი გაუწიო, იქ ყოფილა მატარებელში, მაგრამ...

- მამა, ამ ამბავზე მეტს თავის დღეში ნულარ ვილაპარაკებ... - შეაწყვეტინა ელიმ სიტყვა, - ეს იყო, რაღაც სულელური ფარსი,¹ რომელშიაც არც მე ვარ დამნაშავე და არც შენ... გთხოვ, ჩვეულებრივ პასუხსაც ნუ მოსთხოვ; თუ ვინმემ დაგიწყოს ლაპარაკი, რა მიზნითაც არ იყოს, დასაწყისშივე მოსპე... გუშინწინდელი დღე-ღამე არ ყოფილა!... ეხლა კი წავიდეთ თეატრში.

- უხერხულია...

- ძლიერაც მოხერხებულა... წავიდეთ თორემ მარტო წავალ.

იყვენ საღამოზე.

26 მაისმა შეაუღლა ელი და სახალხო გვარდიის² ასეულის უფროსი იერონიმე შვინდაძე.

მამა გახარებული იყო.

არ დაიკარგება მაინც გორდელიანის ძველი გვარი... შვილიშვილს დაარქმევს გიორგის, და იქნება იგი გიორგი იერონიმეს ძე გორდელიანი... მიემატება მხოლოდ „შვინდაძე“, ამისთვისაც მადლი უფალს!... სჯობს ყოველ შემთხვევაში, მისი შვილიშვილი იწოდებოდეს „გიორგი გორდელიანი-შვინდაძე“, ვიდრე „ბორენკოვი“. ვინ ოხერია ეს ბორენკოვი, საიდან მოთრეული!.. და თან რა ზნის, რა ჩვეულებს!..

- რა ექნა, მამა, არ მომწონს იერონიმე.

- სახელი არც მე მომწონს, შვილო, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენია მაინც...

- არა, მამა... ვერ მოუვლის ოჯახს, მე ამხე გეუბნები.

- ყმაწვილია, გამოიცდება.

- სულელია, მამა და რა ეშველება?

- რა დაიჯინე, ქალო, რამ გაასულელა!

- წარმოიდგინე, მუდამ მიმტკიცებს, რომ მისთვის მე და ყოველი სხვა ქალი ერთია.

- შენც უთხარი, შენ და ყოველი ვაჟი ჩემთვის ერთია თქო, და გაქვითდებით.

- შენ ხუმრობ, მამა, ჩემი წინათგონობა ცუდი ნიშანია...

- გარწმუნებ, თუ შეგნიშნა, რომ სხვა ვაჟისკენ ერთი კეკლუცათ გაიხედე, ბრავით გადირევა.

- ეხ, მამა, მამა, განა მარტო ეს მაწუხებს?!.. არა, ვერ მოვთავსდებით, ვერ მოაწყობს ცხოვრებას...

- შვილო, ცხოვრებამ ერთხელვე შეგაშინა, და ამიტომ ვერ დამშვიდებულხარ... ღმერთია მოწყალე, დრო გამოაწყობს ყოველივეს.

¹ ფარსი (ფრ.) - ცინიკური ხუმრობა, მასხარაობა

² გვარდია (იტ.) - ჯარის საუკეთესო რჩეული ნაწილი

მილიციამ გალახა სამსახურში მყოფი სარდალი; სახალხო გვარდიელებმა გაასამართლეს თამასუქზე¹ მომჩივან - მოპასუხე და განაქორწილეს ცოლ-ქმარი...

სადღაც დაიკარგა შაქრის მთელი საწყობი, -

ვერც გაიგეს სად წავიდა.

ვიღაც ასისთავი თევზებს ზღვაში უყრიდა მილიონობით ბონებს,² - თქვენც სჭამეთ ჩემი ფულიო.

ძაღლებს მიუგდეს მოკლული ადამიანების ცხედარი.

და აღშფოთებული პუბლიცისტი ყვიროდა, ძაღლებს მაინც ნუ გაუფუჭებთ ზნესო...

ტყვე ოსებს მთავრობის წარმომადგენელი ებასებოდა „ინტერნაციონალურ პროლეტარიატზე“.

ელი გვრიტის ღულუნვით ეუბნებოდა ქმარს:

- გული ცუდს მეუბნება, კარგათ არ გათავდება. მოხედე ოჯახს, დღე-ღამეზე შვილი გვეყოლება. მოვლა დასჭირდება. შენ კი... რაც ხდება სულს ვერ ეგუება... უშველეთ რამე...

იერონიმე მიიმალა.

გამოჩნდა.

დარჩა მამა-შვილი ისევ ობლად.

ელის ბავშვი ეყოლა.

გაუჭირდათ.

გაჰყიდეს. დააგირავეს უსაჭიროესიც...

ელის მხოლოდ მედალიონი დარჩა გულზე...

მძიმეთ დატვირთულ ურემში გაბმული, ცალ-თვალზე ბრმა ცხენი სასოწარკვეთილებით უცქეროდა ქუჩიდან ქვაფენილზე გადმოსრიალებულს და ჭიშკარზე მიმდგარ ავტომობილს;

გაბოროტებული შოფერი ამათ აყვირებდა ბუკს:

მეკარე არ ჩნდებოდა.

გამვლენი შეიჯგუფენ.

¹ თამასუქი (არაბ.) - ხელწერილი, რომლითაც კისრულობენ განსაზღვრულ ვადაში გარკვეული თანხის გადახდას

² ბონი (ფრ.) - ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული

აქ იყო მწერალი, ჩასაწერ-წიგნაკ გახსნილი ახალ სტილსა და ახალ შინაარსს რომ ეძებს - ის.

უნებურათ შეჩერებულთ თავს აბეზრებდენ ტიტლიკანა ბავშვები, „ძია, კაპეიკი მომეციო“¹ ს ძახილით, და თან ჯიბეებისკენ აცეცებდენ თვალს...

აქ შეჩერდნენ მაღალი ძვალ-ტყავა ინგლისელი და ახალგაზრდა ქალი.

ქალი მიმზიდველად იყო ჩაცმული.

წითლად შეღებულ ტუჩებსა და ღრმად ამოჭრილ ქოშებს შორის თვალს იზიდავდა შავი ხავერდის მცირე ნაჭერში მეტად ამოდებული გულის კარი და გამჭვირვალე ხორცის ფერი წინდები.

ორივე გართული იყო ღიმილიან ბაასში.

ქალი შეზარხოშებული¹ უნდა ყოფილიყოს ვაჟის ვნებიანი გამომეტყველებით; კეკლუცობდა, სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა და რედიკულის² პაწია სარკეში იხედებოდა;

ვაჟი ქალის მაღიან ამოხედვას აჩენდა თეთრ, გრძელ, საკბენათ გამზადებულ კბილებს.

- ა, ელი, სად დაგვეკარგე? - მიუბრუნდა ქალი მეზობლად გაჩერებულ ქალს. დავრბივარ! - ოღონა ნაღვლიანის ღიმილით უპასუხა მოსულმა და შეუძრწევლათ

დაათვალიერა ქალ-ვაჟი.

„ახალი საქმრო“, - გაუელვა თავში.

გზა გაიხსნა და გამვლელნი დაიძრნენ.

- შემოდი ნუ დაგვივიწყებ - მიაძახა ქალმა.

- თუ მოვახერხე...

ინგლისელს სახეზე ყოფილი ღიმილი გაუყინდა:

უცნობი ქალის ხმამ მიიზიდა, თვალმა მოხიბლა, თმამ გააკვირვა.

- ვინ არის ეს თქვენი ნაცნობი? -

- მოგეწონათ?

- არა!.. ამიტუცა... მაგრამ ვინ არის?

- ჩემს მეტოქეებს მე გზას არ უკეთებ - ეშმაკურის ცქერით უპასუხა ქალმა.

ინგლისელმა განზე გაიხედა და დაინახა ქუჩის მეორე მხარეზე გადაშავალი იგივე ქალი... მიხრა-მოხრამ დაატყვევა.

- წამოდით, რაღა! - ვითომ გაუჯავრდა ქალი.

- გამაცანით!

- დოღი ვავმართოთ ეხლა ამ ქუჩებზე?

- მაშ დამპირდით, რომ გამაცნობთ...

- აკი ვითხარით, მეტოქეებს ხელს არ უწყობ მეთქი... და თანაც გმირებს არ აცნობენ, თითონ ეცნობიან. - იოხუნჯა ქალმა.

- მართალია! - თუმცა დაუდასტურა თანამგზავრმა, მაგრამ გულში წყენამ გაჰკრა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ინგლისელმა მოიბოდიშა, მოიხადა ქუდი, ქალს ხელზე აკოცა და სწრაფის, გრძელის ნაბიჯებით შეუხვია მოსახვევში.

ქალს უნდოდა დაეზვერა უეცრათ ჩამოსორებული თანამგზავრი, მაგრამ შერცხვა და გზა განაგრძო და გულში კი ჰფიქრობდა... „ნუთუ მას გაეკიდა?... მერე რა?... ხომ ვერ გაეცნობა?“..

როცა ინგლისელი, ჯონ ჰექსლეი იმავე მოსახვევში შევიდა, სადაც ქალი მიიძალა, ჯიბიდან ამოიღო ღურბინი და თვალი ძლივს მოჰკრა ქულს.

დაწევა არ გაძნელებია.

- ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, - გადაჭარბებულის ზრდილობით მიმართა ვაჟმა - მე მჭირდება ფრანგულის კარგათ მცოდნე, გასამრჯელოზე მოვრიგდებით... შეიძლება თქვენი იმედი ვიქონიო?

ქალმა მცირე გაცემის შემდეგ სიხარულით უპასუხა:

- დიდის სიამოვნებით... ეს უსათუოდ თინოს უნდა უმადლოდე, რომ გირჩიათ.

- დაგამსხოვრდით, რომ ქალბატონთან ერთად შეგხვდით?..

- როგორ არა!.. ჩვენში უცხოელები ისე იშვიათია, და თან თქვენ ისე მაღალი ხართ...

- მეტი არაფერი?! ცუდი კომპლიმენტია...

ქალმა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ გამოკეთება ვერ მოახერხა.

- ეს არაფერია, ქალბატონო, მაგრამ სად შეიძლება მოგელაპარაკოთ?

ქალი სრულიად დაიბნა.

- მე მოვალ თქვენთან... სამუშაო გამომიგზავნეთ... მე აი, აქვე ვდგავარ, მეორე შესახვევი №14.

- ნება მიბოძეთ თქვენთან შემოვიდე, მე ბევრი მექნება საქმე და ერთხელვე რომ მოგელაპარაკოთ.

„სად? სად შევიყვანო ახლა?“ - ფიქრობდა ელი „მილაგებული კი დავტოვე, მაგრამ ვინ იცის, მამა რას შერებს“.

სტუმარი კი მიდიოდა და მასპინძელიც მიჰყვებოდა უნებურად.

„სახლში არ შემოხვიდეთ, ხომ ვერ ვეტყვი... თანაც, რა სისულელეა, სხვები ხომ შემოდიან“...

ოთახი იყო მეტათ უხერხული.

კედელზე შეჩერდა სტუმრის ყურადღება:

- ეს თქვენი სურათია ხომ?

- დიახ! აღარ ვგავარ, განა?...

- გამოცვლილხართ საგრძნობლად... რამდენი ხნის წინათ არის გადაღებული?

- მეზუთე წელია... ინსტიტუტის დამთავრების დროს გადამაღებინა დედამ.

„ჩონჩხითაც კი ვიცნობ მშვენიერებას“ - ვაჟურის სიამაყით და სიამოვნებით უთხრა თავის თავს ჰექსლეიმ.

¹ ზარხოში (სპ.) - სასმელისაგან გამხიარულებული

² რედიკული (ფრ.) - ქალის ხელჩანთა

.....
თინოს დაასლოკინა.

- „ია მომგონებელსაო.

ვარდი გამხსენებელსაო.

შვიდის წლის ციებ-ცხელება

შენს ავად მხსენებელსაო..“

დინჯათ მიმართა ბებიდამ.

- ჰა, ჰა! - გაიცინა თინომ.

- იცინე, იცინე, ასე შეულოცავდით და ვცხოვრობდით არხეინათ...
- შელოცვაზე უფრო მეტათ, ბები, ერთი მანეთი მარგებს... პულრი შემომაკლდა.

- მოგცემ, შვილო, იყიდე ის წყეული, მაგრამ ხვალ რაღას სჭამ?

კავალრები ისე როგორ დაჰკარგავენ სინიდისს, რომ კონდიტერში მაინც არ მიმიპატიონ, და სადილი ლორივან-კოტის ჭირის სანაცვლოდ იყოს... მაგრამ შენ რაღას იზამ?

- მე არაფერია, შვილო, ოღონდ შენ არ დამეჩაგრო... კავალრების იმედით სიარული კი არ მომწონს, რა ვქნა, შვილო, არ მომწონს... ღმერთმა კარგი ქმნას!..

.....
- უი ქა! (ეხლა ფრანგული აღარ დასჭირებია) შეხე, შეხე, ბები, ჩვენს ელის... რამოდენა ავტომობილში გამოჭიმულა და მიექანება. - წამოიძახა ფანჯარაზე მიყრდნობილმა თინომ...

- საწყალი, - უპასუხა მოხუცებულმა თავსაფრიანმა ქალმა. - მაგიც საეჭვო გზას დადგომია.

- საწყალი მაგის მამაა, „მოფილოსოფოსე კავალერისტი“! ხა! ხა! ხა! თორემ ელის რა უჭირს... ეტყობა მიექანება კავკავისაკენ...¹ აქამდე თუ მივიდოდა, ეს კი არ მეგონა... ჰექსლეი! ჰექსლეი!

- ხასობაც² სანატრელი გახდა?! - ჩაიკვნესა თავსაკრიანმა.

- ჭკვიანი კაცის ხასობა არ სჯობია სულელის შვილობას?

- შენა გსურს სთქვა „მდიდრის“ და არა ჭკვიანის, თორემ ჭკუით ჩვენი შალიკო არავის ჩამოუვარდებოდა...

- ისეც ღმერთი უშველის! მთელი ქონება რომ „შესწირა“, „დაარიგა“, აბა, როგორ ეგონა?

- ხომ ჩამოართმევდნენ მაინც?!

- ჰო და მამული მან „შესწირა“ და „დაარიგა“, ხოლო შვილი „ჩამოართვეს“... ხა! ხა! ხა! ბედნიერი ელი მოივლის ქვეყანას... ამ საბურთალოს მტკერს კი ჩვენ გვიტოვებს...

- თინიკო, იცხოვრე როგორც გსურს, ოღონდ ამ სიტყვებს მაინც ნუ გამაგონებ!

¹ კავკავი - ქ. ვლადიკავკასი.

² ხასა (არაბ.) - საყვარელი

- და მოხუც ქალს უნდოდა ბოლმის გასაქარვებლათ სხვა ოთახში გასულიყო, მაგრამ რადგან მეორე ოთახი აღარ ჰქონდათ, მივიდა კუთხეში მდგომ საკუთარ საწოლ ტახტთან და სასთუმალიდან გამოიღო ოდესღაც სადაფით მოჭედილი, „ცხრაკლიტულიანი“ პატარა ყუთი, და შიგ დაიწყო ფათური დაყვითლებულ წერილებსა, ძველი ფამინისა, ღონდუკოვ-კორსაკოვის ბალზე მიღებულ იაპონურ მარაოსა და ქმრის, მყიდველებისათვის უსარგებლო მენდალ-ჯვრების შორის...

.....
თითქმის ამით დამთავრდა თვალადან ელის უეცარი გაქრობის ამბავი. საერთაშორისო ომის ნაგლეჯებისა, და სამოქალაქო ბრძოლის მოვარდნილ კორიანტელში ვერ გაატანა ცხოვრების ნაპტკენმა¹ ბუმბულმა.

მერსედესი მიჰქროდა.

ელის იზიდავდა, ხიბლავდა, ათრობდა:

მოჭრილი ჰურის ყვითელ ხალიჩაზე ძნებად დადგმული კონები.

არშინათ შემოვლებული მთების მარმამი,² თავისუფლად დამკვებულნი, ვით თეატრის სიმეტრიულ ნაოჭიანი ფარდა.

ხეებისაგან გაცრცვილ, ამწვანებულ მთების წვერზე ბოხხოდ დარგული ქოჩორა ხეივანი.

ველები ფერად ზოლებათ დაყოფილნი.

ტელეგრაფის მავთულებზე მწკრივით, როგორც მოწაფეები - ქანდარაზე, უხმოდ ჩამომჯდარი ფერადი ჩიტები.

და ეს უთვალავი ყოველის მხრით გადმომცქერალნი, ზოგი მტირალნი, ზოგი გასალკლდევებული ნანგრევი კომპებისა, ციხეებისა და ეკლესიებისა...

თვალეები მოედალა ქალს.

ქვეშეგნების მივარდნილ სამზარეულოში მაინც ღვიოდა დამამშვიდებელი ნახი სევდა, უსიტყვო ფიქრი.

ფიქრების შედეგათ თუ თავში გაირბენდა ნაწყვეტი სიტყვები. ისინი იყვნენ მხოლოდ არსებითი სახელები და ზმნები განმაცვიფრებელ ფორმებით...

განმარტებისათვის არ სცალოდა ტვინს. „მამას“, „წყაროს ფეხი“... „შვილზე“... „მოკლეს“... „გარყვნილიაო“... „ვინ იფიქრებდა“... „კი... ჰო“... „სულ ერთია“... „საცოდავი“...

ელის ყურს მოხვდა გარკვეული სიტყვები:

- ეჰ, წაგვიყვანდეს ერთი!

- მიიხედა.

გზაზე გადამდგარი რამდენიმე გლეხი (ცელებით ხელში) და შურით უცქერდა მიმქროლავ მანქანას.

ელიმ ავტომობილი შეაჩერებინა და ხელი დაუქნია.

მცელავეები გაკვირვებით ერთმანეთს გადახედავდნენ, მორიდებით მიდიოდნენ, მაგრამ უკან დახეული ავტომობილიდან რამინო გადმოხტა, კარები მარდათ გააღო და თავზიანათ მიიპატიჟა.

¹ ნაპტკენი - ნაკრთენი - ფრინველის ამოგლეჯილი ბუმბული

² მარმამი - ერთგვარი თხელი გამჭვივრავლე ქსოვილი

მუშები ჩაჯდნენ, მაგრამ უხერხულათ გრძნობდნენ თავს.
- საითკენ მიდინხართ? - დაეკითხა ელი.
- აქ იჯარით გვაქვს თივის მოჭრა აღებული და დაგვიგვიანდა... შორიდან მოვდივართ.

- აბა, გაუჩქარეთ - უბრძანა ელიმ შოფერს. მეტის მეტმა სისწრაფემ ახლად ჩამაჯდარნი შემომუნა...

ერთმანეთს დაუწყეს ცქერა.
ოთხი ცელი ელვარებდა ჰაერში, როგორც ელისათვის გამზადებული ჩაფხუტი!

- ასეთი ვაჟკაცები ხართ აქაურები და რამ შეგამინათ?
- აქ რა ვაჟკაცობა გაგვივა, ქალბატონო, - უპასუხა მოხუცმა - თორემ აი ეს ბიჭი, მარტო მიდის დათუზე სანადიროთ. ათი კი ჰყავს მოკლული.

ახალგაზრდას, რომელსაც მოხუცმა მიათითა, მხოლოდ წვერ-ულვაში ჰქონდა მოკლე, ქორფა და ყორნის ფრთის ფერი, თორემ თითქმის ისეთივე დანაოჭებული იყო სახე, და ისეთივე სევდიანი თვალებით გამოიყურებოდა, როგორც დანარჩენები.

- ნუ გეშინიათ, ისე მიგიყვანთ, რომ ფრჩხილი არ გეტკინებათ. აი, მე ხომ არხეინათ ვზივარ.

- ცოდნა უნდა, ბატონო, ცოდნა, თორემ საშიში ქვეყნად არაფერია...
„ესენი არიან ის საშინელი გლეხები“... - გაიფიქრა ქალმა. - „ტყუილია! მამაც ასე ამბობდა, ზრდილობიანი, ნამუსიანი, მშრომელი ხალხია“.

ელიმ არ იცოდა რაღა ეთქვა. უნდოდა კი მათთან ბაასი. თვალში მოხვდა გაშლილი ცელები.

- არ მეგონა თუ აქ მამაკაცებმა თიბვას მოჰკიდეთ ხელი? აქ ხომ მუდამ მხოლოდ ქალები მუშაობდნენ...

- არა, ქალბატონო. ჩვენ წინათაც ვმუშაობდით. თქვენ რომ ბრძანებთ, ის გადაღმა მხარეზეა.

ერთმა გლეხმა მობაასეს გვერდი ჰკრა და თვალით ანიშნა...

- რა იყო? - შეეკითხა ელი.
- ჩვენ გავსიცლდით უკვე ჩვენს ადგილს.
- რა ვუყოთ მერე?... გამოსიერიანეთ კიდევ.
- არა გვცალიან, ქალბატონო, თორემ როდის მოგვინდება კიდევ ჩაჯდომა!!
- მშვიდობით! გამარჯობა! - ელის ნაღვლიანი თვალები დარჩა მუშებზე.
- გმადლობთ, ღმერთმა გადაგინადოს!!

კაკაკაში ჩასვლისთანავე ელი ტელეფონით გამოიძახეს.
შეშინებული მივიდა ქალი მანქანასთან.

- მე ვარ, ელი, რა გნებავთ?
- კარგათ იმე ზავრეთ, ხომ?
- გმადლობთ, კარგათ, ვინ მელაპარაკება?
- ჰექსლეი... ძლიერ მოხარული ვარ...
- ხომ არაფერი მომხდარა?

¹ ჩაფხუტი - მეომრის ლითონის თავსაბურავი.

- არა, არაფერი... გთხოვთ, რამინო გამოუშვათ. ხვალ საღამოს უკანვე დავაბრუნებ.

- რად დაგჭირდათ?... უსათუოდ რაიმე მოხდა...

- გარწმუნებთ, სრულიად არაფერი. ხვალ ჩემი მეგობარი ჩამოვა ბათუმიდან, რომელიც კაკაკაში უნდა წამოვიდეს და არ მინდა ნაქირავებ ეტლში იჯანჯგავოს...! თქვენ კი მანდ ყოველივეს აგისრულებთ პატივცემული ღიასანლისი.

- კარგი! - ელის მაინც რაღაც ცუდათ უგრძნობდა გული.
- გთხოვთ, რამინოს უბრძანოთ ტელეფონთან მოვიდეს.

ამ სიტყვებმა უფრო დააქვეს ქალი, და იგი ცდილობდა (რცხვენოდა კი სხვათა ლაპარაკის ყურის მიპყრობა) გაეგო, რაზე ილაპარაკებდნენ მოსაუბრენი, მაგრამ რაღაც უცნაური ბგერები მოესმა, კითხვით კი ვერ ჰკითხა მსახურს.

.....
- გმადლობ, რომ მომისწარი: ხვალ დილას ექვს საათზე მზად უნდა იქნეს ავტომობილი და სადარბაზო ტანთსაცმელი! - მიმართა ლოგინში მწოლარე ჰექსლეიმ ახლად შემოსულ რამინოს.

- არ იქნება საჭირო. - ჩვეულებრივის სიდიდით და გარდუვალის დაბეჯითებით უპასუხა რამინომ.

- რატომ?
- დუელი არ შესდგება...

- შენ საიდან იცი, რომ დუელი მაქვს?

- ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხდება რაიმე დუელის მსგავსი.

- კარგი, და დუელი რატომ არ შესდგება?
- ბატონი გორდელიანი არ არის ისეთი კაცი, რომ დუელი ისურვოს.

- აკი გამომიწვია...
- ეს იყო პირველი წუთი აღშფოთებისა... ძველი ჩვეულება. ყოფილ მისი წრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ ასწონ-დასწონის, განსჯის, გაარჩევს და დარწმუნდება, რომ უადგილოა აქ დუელი...

„მგონი მართალს ამბობს რამინო“, - გაიფიქრა ჰექსლეიმ, - „მოფილოსოფოსე“ ნევრასტენიკი აჯობებს ყოფილ კავალერისტს“.

- შეიძლება, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.
რამინომ ჩვეულებისამებრ მდაბლათ, დინჯათ თავი დაუკრა და გავიდა.
მცირე ხნის შემდეგ რამინო შემოვიდა და მოახსენა:

- შალვა გორდელიანი.

ეს კი მოულოდნელი იყო; ეს კი ყველაფერს აღემატებოდა.
ჰექსლეი ჭოჭმანობდა, მაგრამ საჩქაროთ ჩაცმა დაიწყო და რამინოს უპასუხა:

- მობრძანდეს.

მისაღებ ოთახში ჰექსლეის დახვდა ფერმკრთალი, სუსტი, მოქანცული შალვა; მეტათ გაფართოებული, ამღვრეული და მწუხარე თვალები; უდარდელათ ჩაცმული ტანთსაცმელი ლაზათს არ იყო მოკლებული; ხელოვნურათ დაუწყობელი თმა-წვერ-ულვაში ბუნებრივად შროიანათ დალაგებოდა.

¹ იჯანჯგავოს - იჯანჯდაროს, დაინჯდრეს.

შალვა ძლივს ადგა.

ჰექსლეი ელოდა.

- მე მოვედი გითხრათ, რომ დუელი არ არის საჭირო!..

- თქვენ ბრძანდებით ინიციატორი.

- ვიცი... ფორმალური მხარე იქნება ასრულებული... თქვენ არავინ გაგამტყუნებთ... ჩემი სეკუნდანტები განაცხადებენ, რომ გამოწვევა მე თვით მიმაქვს უკან... მე მოვედი მხოლოდ მეთხოვნა... როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევაში თხოვნა ან სიტყვის ჩამორთმევა?! მხოლოდ ეხლა მივხვდი, რომ სისულელეა!..

შალვა ადგილზე გადაქან-გადმოქანდა, მაგრამ ფეხების შორი-შორს გადაგამ და ნებისყოფამ შეამარა.

- დარწმუნდით, რასაც კი მოხვით და შემიძლია... - გულწრფელათ მიუგო ჰექსლეიმ.

- თუ შეგიძლიათ... შეჭველია მოუვლით ელის... ცოდვია... კარგია... მაგრამ ამ წინადადებით აქ ჩემი მოსვლა არ იყო საჭირო, უადგილოა... უკაცრავათ! - შალვა კარებისაკენ წავიდა.

ჰექსლეი გაჰყვა.

- ჩემის მხრივ, ნება მიბოძეთ გაგახსენოთ, რომ თქვენ მოვალეობა გავწევთ შვილისა და თავის თავის წინაშე...

- ვიცი, მე ვალდებულებით ვარ დატვირთული, როგორც ვირი მისთვის უსარგებლო მარლით... - მწარე ღიმილმა ყბა-ტუჩი დამანჭა.

შალვა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, თუმცა ტერფები ეწეებოდა ქუჩას, და გზას გადიოდა მიხვევ-მოხვევით კლაკნით ისე, როგორც შოთას ძველი სიტყვები („მაგრამ დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიაღობანი“) იკლაკნებოდა მის ტვიში.

აღვის ხის ხეივანში, ჩუმ ტბასა და თერგის დუღუნის შუა, იქ სადაც ძეწნას მოწყენილი ტოტები ფართო ჩრდილს ჰფენდა, ელი უსმენდა საკუთარი სეველის ხმას და კითხულობდა საყვარელ შელლის.¹

ფარშავანგის ვნებიანი წივილი აკრთობდა.

ბამბის ქულასავით თეთრი ფინია ფხიზელ, სუსტ და აბეზარ დარაჯათ უდგა. რამინო თითქოს ელის გულში უზისო;

პირველი ასრულებდა, რასაც მეორე მოისურვებდა;

რამინომ გამოსძებნა თავისოდენა ფინია და მანვე ნიანგის ტყავში ჩაასმევინა სასურველი წიგნები.

¹ შელლი - პერსი ბისი (1792-1822) - ინგლისელი პოეტი

ელიმ და ჰექსლეიმ კაკაკეშივე გადასწყვიტეს ზამთარი მიუნხენში სქ. მიუნხენი - ქალაქი გერმანიის სამხრეთ ნაწილში გაეტარებინათ, სადაც სოფლური სიმშვიდე შეერთებულია მსოფლიო ქალაქის კულტურასთან და სადაც ხელოვნების საიდუმლოებანი მრავალ გასართობს უმზადებენ და საუცხოვო ჩარჩოთ ეველინებიან ქალ-ვაჟს.

პირდაპირ არ მიუშურებიათ სწამთრო ბინისათვის: ჰექსლეიმ გზა მოგზაურობათ აქცია:

ელიმ პირველად ნახა რუსეთის თვალუწვდენელი ველები. იგემა ვოლგის მშვიდ ზვირთებზე ხომალდით ტორტმანი.

დაათვალიერა ლევ ტოლსტოის «Ясная поляна»¹ და „მეფე ზარი“, „მეფე ზარბაზანი“.

სკანდინავიის სალ კლდეებს, ფიჭვნარსა და ჩქერებს გადახედეს და ბერლინ-პარიზში² ფეხი მოიკიდეს მცირე ხნით.

არეულ შთაბეჭდილებებში უნდა გაქნილიყო ფიქრი წარსულზე და ჰექსლეიმ მიხანს მიღწია: ელის აჩრდილათ აღარ დაჰყვებოდა თბილისის გეგმა, მამის უცნაურობა, ბავშვის აღერსი...

იყო პროპელერის ხმაურობა, გვიღო რენის (ბეატრისა ჩენჩის)³ სურათის სილუეტები, ახალი ოპერის ჰანგები, ყავახანის მოცეკვავეთა გიჟურ რხევასთან გადაბმული, და საილუსტრაციო ჟურნალების ხროვა და...

და ჰექსლეის უსაზღვრო, ნაზი პატივისცემა.

მყუდრო მიუნხენის გაზეთებს სალაპარაკო მასალა მისცა სამი უცხო სტუმრის ჰაერობლანით⁴. მოულოდნელმა ჩამოფრენამ.

გაზეთები სწერდნენ:

„...ქალბატონმა განაცხადა, ჰაერობლანით მხოლოდ სასწრაფო და თანაც დიდი საქმისთვის თუ შეიძლება მოგზაურობა, თორემ სასიამოვნო, ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, არა იყო რაო: მუდმივი რყევა, ჰაერის ორმოებში ჩავარდნა და ყოველივეს მხოლოდ ზერეულედ ცქერა მოსაწყენიანო. არაჩვეულებრივი მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე წუთით არის საყურადღებო, მერმე კი მოსაბეზრებელიაო!...“

„...სტუმრებს სასტუმრო მეტად მოეწონათ. ბ. ჰექსლეიმ წინა დარბაზი დაიჭირა; ბატონი ბრომლეი მესამე სართულის ოთხი ოთახით დაკმაყოფილდა... ეს ახირებული მილიარდელი ოთახებში მანც არ სცხოვრობს და, თუ დრო იხელთა, სახლის ჭერზე ადის, სადაც გამაკი გააბმევინა და იძინებს არხეინათო... ქალბატონი ელი - რუსეთის ცნობილი გვარიანების ქალი მეორე სართულის უკანა ნაწილში მოთავსდა, რომელიც სასტუმროს ადმინისტრაციამ აღმოსავლეთურ გემოვნებაზე მორთო...“

¹ Ясная поляна - დიდი რუსი მწერლის, ლევ ტოლსტოის, სახლი

² ბერლინი - გერმანიის დედაქალაქი, გაშენებულია მდ. შპრეზე

პარიზი - საფრანგეთის დედაქალაქი, გაშენებულია მდ. სენაზე

³ გვიღო რენი (1575-1642) - იტალიელი ფერმწერი

⁴ ჰაერობლანი - თვითმფრინავი

კობხათ გაპარსული სუფთა სახე; შაპოკლაკი¹ ოღნავ გვერდზე მოგდებული. გახამებულ საყელოდან გვირმზტიან² საგულეს ჩამოჰყვება ქინძისთავ-ჩარჭობილი კოპწია ყელსახვევი; მორგებულ შავ ვიზიტკას მიჰყვება ზოლებიანი შემოკეცილი შალვარი, ბადე-მაქმანი წინდები და ყვითელ ლაიკის³ კობხა ქოშები. მარცხენა ფეხზე დაყრდნობილია; მარჯვენა კი ჯვარედინათ გადუღვია მარცხენაზე, და მხოლოდ ფეხის წვერით ეხება მიწას. მარცხენა ხელში უჭირავს აბოლებული სიგარა, მარჯვენა ხელის თითებში მარდათ ატრიალებს სტეგს;⁴ დამორებით მოსჩანს მიმავალი ქალის ზურგის სილუეტი.

ქვე მიწერილია:
„ვერ მივწვდი, ცეცხლი მეღებ“.

ბრომლის ყურნალ-გაზეთების ჩაციება თავს აბეზრებდა, მაგრამ არ შეამჩნია. ჰექსელის გულის სიღრმეში რაღაც ეამა. ელის გაეცინა (ქალის სილუეტის მნიშვნელობა არ უნდოდა გაეგო, მთლიანად ვერც გაიგო), მაგრამ თავი დაიჭირა... მოაგონდა კიდევ, რომ ბრომლისთანაა, დისკრესიონ სანაძლე⁵ - ბევრი ჰქონდა წაგებულიცა და მოგებულიც, რომ თვითონ ქართველურის რიდით თუმცა არაფერსა სთხოვდა, მაგრამ ბრომლის ამერიკულის სისწრით მოჰქონდა ბოლჩა, ხელსაქნარის ხელსაწყო, ყვავილები ვაზში, რომელიც უეჭველია ვინმე დიდებულის სასახლიდან იყო გამოტანილი, ქინძისთავი და ყველაფერი ეს უბრალო, შესახედავით უმნიშვნელო, იაფფასიანი, მაგრამ მცოდნესათვის ერთადერთი, იშვიათი ფასდაუდებელი.

„...ჰექსელის განზრახული აქვს მიუნხენში კინო-ქარხანა გახსნას“...
ერთხელ ელიმ გაზეთში ამოიკითხა:
„...ახალგაზრდა მომღერალ ქალს აღტაცებით შეხვდა კენინა ე. გორდელიანისა... მირთმეული ძვირფასი თაიგული კენინამ გაუგზავნა მომღერალს; ეს გულწრფელი, უშვალო პატივისცემა მით უფრო დასაფასებელია, რომ დიდი ქალბატონი ღრმა მცოდნეა ხელოვნებისა და განსაკუთრებით კი მუსიკისა...“

- ეს მე ვარ მუსიკის დიდი მცოდნე? - ღიმილით დაეკითხა ელი იქვე მდგომ ჰექსელის.
- რატომაც არა, ქალბატონო!.. ტენიკური ცოდნა შეიძლება არა გაქვთ, მაგიერათ თქვენ სწორედ სჯით და მკვეთრათ გამოსთქვამთ აზრს.
- ესეც თქვენი დაფასება...
- არა, წარმოიდგინეთ, ეს აზრი მე გავიგონე აქ საკმაოდ ცნობილ მუსიკალურ კრიტიკოსიდან, ბ-ნ ჰახერტიდან.
- მართლა?..

¹ შაპოკლაკი - ქულის სახეობა (შაპო-ფრ.-ქუდი)
² გვირმზტიანი - გვირმზტიანი
³ ლაიკა (რუს.) - ერთგვარი რბილი ტყავი
⁴ სტეგ-სტეკი (ინ.) - ცხენოსნის ერთგვარი წკებლა
⁵ დისკრესიონ სანაძლე - ნიძლავე ნებისმიერი პირობით

კარრიკატურისტ-იუმორისტმა ზრდილობასაც გადააჭარბა: თუმც პირდაპირ ბრომლეი არ იყო დასახელებული, მაგრამ ადვილი გასაგები იყო, ვის შეეხებოდა აქ შემოკლებით მოყვანილი დასურათებული შარჟი:

მილიარდერი „დავენადლევედო“.
„...ვინ ვერ იცნობს მილიარდერს, ყოველ შებრუნებულ სიტყვაზე დავენადლევედოთ, რომ იქადება.

იგი იყო, კლემანსოს¹ რომ მიაძახა: - „დავენადლევედო, თუ საფრანგეთი გაიმარჯვებსო“... კლემანსოს, მგონი, ისე არაფერი გახარებია თავის ცხოვრებაში, როგორც მილიარდერისაგან წაგებული შამპანიურ ბოთლის მიღება...

ეს ჩვენი გმირი იყო ვენელ² როტშილდს რომ დავენადლევა, ფრანკის³ ფასი მეტათ დაეცემაო: და როცა წინასწარმეტყველება გამართლდა, სწორედ მან მისწერა როტშილდს, თქვენგან 500 ფრანკი მერგებაო. როტშილდის კონტორამ ვერ გაიგო ტელეგრამა, და თუმცა მოთხოვნილი 500 ფრანკი გადაუგზავნა, პატრონს შეეკითხა: ასე მცირე თანხა რაგვართ დაგვედვა ვალათო.

...ეხლა ვედარ ვიცანით მილიარდერი, თუმცა იგი რამდენჯერმე გვინახავს წინათ. წლებს დადი ვერ დაუმჩნევია, მაგრამ ცნობილი ორი მეჭეჭი აღარ აუშნოებს ცხვირს, და ძველი ჭრილობის დადი შუბლზე თითქმის გამქრალა, - პარიზის კოსმეტიკურ ინსტიტუტს გაუმარჯვნია...

მაგრამ ნახაზი უფრო ნაზად გამოსახავს ცვლილებას.

„დავენადლეო“ გუშინ

მოჩონდრილი⁴ პიჯაკი; უფორმო ქუდი და წადები; ხელში ჯოხათ უჭირავს მოკაუჭებული კეტი. ცხვირზე ვეებერთელა მეჭეჭები და ყბის ქვეშ თხელი, გაჩხერილი, მოწითალო ღეროები, ვითომ წვერებიო; ზედა ტუნს ჰფარავს უსწორმასწორო, ჩამოწოლილი უღვაში და პირში გაჩხერილი აქვს საბათმანი⁵ მოკლე ყალიონი,⁶ რომელიც ედება ყილეტიდან ბუჩქათ ამოვარდნილ ყელსახვევს. ეს საძაგლობა დაჰყურებს ფეხებთან ლაღათ მიწოლილ ღორს.

სურათს მიწერილი აქვს:
„ა ხ, ს ა ტ რ ფ ო ვ ჩ ე ' ო, ჩ ე მ ო ი მ ე დ ო“.

¹ კლემანსო ჟორდ ბენჟამენი (1841-1929) - საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე
² ვენა - ავსტრიის დედაქალაქი
³ ფრანკი (ფრ.) - ფულის ერთეული ევროპის ქვეყნებში
⁴ მოჩონდრილი - მოჩაჩული
⁵ ბათმანი - საწყაო და წონის ერთეული
⁶ ყალიონი (არაბ. სპარ.) ჩიბუხი

ჰექსლეიმ თავი დახარა.

- ...და თქვენ შეგეძლოთ ამით საკმაოდ გესარგებლნათ.

- როგორ? ვიძლერო მარგარიტა,¹ თუ ვითამაშო ოფელია?² - ღიმილით შეეკითხა ელი.

- არა, მაგას არ გირჩევთ... მხოლოდ კინოში, ან ცეკვით თქვენ ფურორს³

- და თქვენ გსურთ?...

- არა, არა, ღმერთმა ღამიფაროს, თქვენ დაგინახოთ საჯარო წარმოდგენაზე, რამპის⁴ იქეთ მდგომი... მე მხოლოდ ვთქვი, რომ ასეთი გარემოება, შექმნილი ყურადღება, საკმაოდ გარანტიანა გამარჯვებისათვის... მაგრამ თვით გამარჯვება ჩემი დამარცხება იქნებოდა... არა, არა - ღიმილ-ნარევი შიშით ლაპარაკობდა ჰექსლეი...

როცა ჰექსლეი საქმეებით გაერთობოდა და ბრომლეი ვეღარ ბედავდა კიდევ მეტს ხანს დარჩენილიყო, ელის სახე სრულიად იცვლებოდა: მოთენთილი, მიილულებოდა დიდ სავარძელში, თითქოს დამფრთხალ ზოხობივით ვისმე ემაღლებათ; წუთითაც აღარ ეფარებოდა ქუთუთო უპეებში ღრმად ჩავარდნილ თვალებს, რომელთაც ზედ ეწერა: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე ქვე მითქვამს იდუმალ ვა“. მაშინ გარბოდა იგი მუხუშუმებში და იქ საათობით იჯდა კაულბახის ბედნიერ ქალების პორტრეტების, ბიოკლინის „ავტობიოგრაფიის“, „ანანორეტიის“ ან „მიცვალებულთა კუნძულის“ წინ.

ყოველ ნახვის დროს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა ელიზე რიდლის „საკუნტალა“, რომლის თმისწყობა, სილაღე მოაგონებდა ახლო წარსულ საკუთარ სიყმაწვილეს, მაგრამ სადღა იყო გულუბრყვილობა, „სიამენი ქვეყნისა“.

ხელოვნების ნაწარმოებს ყურადღებით ათვალთვლიდა იგი არა „ფიქრთ გასართველად“, ცოდნის შეძენისა და ესთეტიკურ განცდათა მისაღებათ, არამედ პირადი ტიკვილების გასამწვავებლად, მივიწყებულის გასახსენებლად, ახალ იარის მისაღებათ და აღსაძვრელად.

ეს იყო მწუხარებით ლოთობა, და რაც უფრო ხშირად დააქროლებდნ გამიჯნურებული ვაჟები დრამიდან ღამის ყავახანებში, დოლიდან სამხრის ჩაიზე, რაც უფრო ძვირფასი იყო ამბაჩა და სირაქლემას კალმებიდან შეკერილი ზედაწელი, მით უფრო დიდხანს რჩებოდა იგი იდუმალ ტანჯვის გამოიმხატველ ქანდაკებასთან, ნახატთან... ნერვებს სწვავდა ორივე მხრიდან.

მსახურმა მოახსენა:

- ბატონი ბრომლეი გთხოვთ, დღეს საღამოს საშუალება მისცეთ „ორფეუმში“ გადაგინადოსთ წაგებული.

როცა ელიმ პასუხი არ გასცა მსახურს, ჰექსლეიმ უპასუხა:

- კარგი!

მსახური გავიდა.

- მართალი მოგახსენოთ, - მიუბრუნდა ელი ჰექსლეის, - ეს მუდმივი ვითომდა ნამძლევის გადასახადით გაწეული ხარჯები ბ. ბრომლეისა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს.

- რათა, ჩემო კარგო ქალბატონო, ბ. ბრომლეის ასეთი ჩვეულება აქვს - განაგაზეთში მაინც არ წაიკითხეთ? - ყველას ენაძლევა... მეტი სახელიც კი აქვს შერქმეული: „დაგენაძლეოთ მილიარდერი“.

- წაიკითხეთ კი წაიკითხეთ, მაგრამ ყოველ დღე მისი ორჯერ მაინც შეხვედრა, მასთან დროს გატარება მეტათ მოსაწყენია და...

- ასეთ მცირე სიამოვნებაზე ნუ ეტყვი უარს... თანაც იგი მეტად საჭირო კაცია ეხლა ჩვენთვის... უკაცრავად, ჩემთვის, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩემს კეთილდღეობას თქვენც იზიარებთ.

- თქვენ რითი ხართ მისგან დამოკიდებული?

- აი ეს კინო, რომელიც მე გამოვიწყე, ჯერ ერთი, დიდ თანხებს თხოულობს, ბევრთ მეტს, ვიდრე ვფიქრობდი, და თან ამერიკის ფირმებთან შეთანხმება მხოლოდ ბ. ბრომლეის დახმარებით შეიძლება.

ელი ჩაფიქრდა.

- საიდან მოიპოვა ამ სრულიად გაუნათლებელმა ადამიანმა და, როგორც ეტყობა, თავიდანვე მეტად ღარიბი ოჯახის შვილმა, ასეთი უთვალავი სიმდიდრე, და რაც უფრო საკვირველია, ასეთი განმავლობა?

- თქვენ თუ გაინტერესებთ ასეთი კითხვები, და დროს იშოვნით მისდა წასაკითხავად, მე სიამოვნებით მოგართმევთ კარგა მოზრდილ წიგნს, როგორც ჩვენი ბრომლეის, ისე სხვა ამერიკელ მილიარდერების შესახებ. ბრომლეი ოციოდე წლის წინათ ჯერ კიდევ უბრალო კოვბო¹ იყო და თხუთმეტი წლის წინათაც მეყასბის² სახელს ატარებდა... შემთხვევით, მგონი ასტორის რწმუნებული გულმოსული იყო თავის მოიჯარადრეზე,³ და მან ჩამოდენილი მთელი საქონელი რამდენიმე ათასი თავი ხბო, მაგას მიჰყიდა ნისიათ.⁴

ელი ყურადღებით უსმენდა.

- ...ამან გაუგდო სახელი. გაზეთებმა განგაში დაჰკრეს, ბრომლეი მთელ საქონელს ასტორისას იძენსო და სხვა... ბანკებმა კრედიტი გაუხსნეს... წვრილმა

¹ კოვბო (ინგ.) - ცხენოსანი მწყემსი აშშ-ს დასავლეთში

² ყასბი (მეყასბე) - (არაბ.) - ზორცის გამყიდველი

³ მოიჯარადრე - უძრავი ქონების დროებით დამქირავებელი

⁴ ნისია - ვალი - დანაზარჯი ან რისამე ფასი, რაც შემდეგში უნდა გადაიხადოს

¹ მარგარიტა - ალ. დიუმას გმირი, მარგარიტა გოტიე რომანიდან „ქალი კამელიებით“

² ოფელია - შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ გმირი

³ ფურორი (ლათ.) - საჯარო წარმატება, რომელიც საზოგადოებაში დიდ აღტაცებას იწვევს მოახდენთ...

⁴ რამპა (ფრ.) - თეატრში: ავანსცენის გასწვრივ დარბაზის მხრიდან სცენის გასანათებელი მოწყობილობის დამფარავი ბარიერი

მეჯოგეებმა მაგასთან დაიჭირეს საქმე. ბრომლეიმ არ მოინდომა ამ პირველ ნაბიჯზე მოგება, არამედ შეეცადა სახელი უფრო მოეხვეჭა... საქონელს ყიდულობდა ყველგან, ყიდა სულ მცირე მოგებით, ხან წაგებოდაც კი... სინდისიერათ უსწორდებოდა მოვალეებს და თითქმის მთელი ხორცის ვაჭრობა ხელში ჩაიგდო ჩიკაგოში...¹ ასეთი ორგანიზატორი სხვადასხვა საზოგადოებებშიც მიიწვიეს... და დღეს მილიარდერია...

- ადვილი ყოფილა თქვენში გამდიდრება.
- არა, ქალბატონო, ჩვენში სხვა ქვეყანაზე უფრო ძნელიც კი არის... რამდენი გადატაკადა თუ ვნებავთ იმავე ბრომლეის გამდიდრებისათვის... მაგრამ ბრომლეის დიდი კომერციული ნიჭი აქვს, ურყევი ნების-ყოფა და დღემდე მაინც - ჰექსელიმ საიდუმლოთ გაიღიმა - არაფერი აინტერესებდა გარდა სიმდიდრისა. ნომ ნახეთ მეჭეჭები მის ცხვირზე: მხოლოდ 45 წლისამ მოიცალა ამ დამამახინჯებელ წერტილებისათვის, თუმცა მათ მოჭრას სამი დღე სჭირდებოდა შინ დარჩენა; ხომ ნახეთ პირველათ მისი ტანისამოსი, თითქოს ტომრებიდან ყოფილიყოს გამოკერილი... მე მგონია, უკანასკნელ დღეებამდე ბატონი ბრომლეი იმავე თერძს აკერვინებდა თავის ტანისამოსს, რომელსაც აკერვინებდა კოვებით ყოფნის დროს, და ეს, პირველი სასტუმროა, სადაც მან ოთხი ოთახი დაიკავა... წინათ ორი ოთახი კმაყოფილდებოდა: ერთში დგებოდა თვითონ, და მეორეში - მისი მდივანი...
- ეს მდივანი კომერციულ და ფინანსიურ კითხვების დიდი სპეციალისტი უნდა იყოს...

- ...პირიქით. მდივანი მხოლოდ იმიტომ ჰყავს, რომ ჩაწეროს და აასრულოს, თორემ ისე ყველაფერს თვითონ ხელმძღვანელობს. ასეთი თავდადება რაიმე იდეისათვის, რა თქმა უნდა „მთებსაც კი შეანძრევს“, - ქრისტეს მოციქულებმა, უბრალო მებაღურებმა,² დაიპყრეს ქვეყანა თავისი გატაცებით, თავდადებით, და რათ გაკვირთ, რომ ამერიკელები იქნდნენ სიმდიდრეს, როცა ისინი ისეთივე თავდადებულნი არიან სიმდიდრისთვის. ევროპას აღარ აქვს შეურყენელი მისწრაფება სიმდიდრისადმი... იგი გატაცებულია პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული იდეებით, როგორც თქვენ არ გყავთ როკფელერი,³ მორგანი, ბრომლეი, ისე მათ არ ჰყავთ ლენინი,⁴ ბეტჰოვენი,⁵ კანტი...⁶ თქვენ მხოლოდ „ნახევარის გულით“ ეკიდებით სიმდიდრეს, დოვლათს - ჩვენ, უკაცრავად, ამერიკელები, „ნახევარის გულით“ ეკიდებიან მეცნიერებას, ხელოვნებას, პოლიტიკას. თქვენთვის პირველია სახელი მხროვნების მეფობისა; ჩვენთვის პირველია - მეფობა სიმდიდრეზე...

- ჩვენ კი, ჩვენ რა გვეძლევა? - უეცრათ თავისდა უნებურად დაეკითხა ელი.
- აკი მოგახსენეთ? - გაკვირვებით, თუ როგორ ვერ გაიგო ასე მარტივათ ნათქვამიო, ჰკითხა თავის მხრივ ჰექსელიმ.
- მე ჩვენზე, საქართველოზე გამბობდი. - დაბნევით ჩაილაპარაკა ელიმ.

¹ ჩიკაგო - ქალაქი აშშ-ში
² „ქრისტეს მოციქულები - უბრალო მებაღურებო“ - იგულისხმება ქრისტეს თორმეტი მოწაფე, რომელთა უმეტესობა მეთევზე იყო
³ როკფელერი - ცნობილი მილიონერი
⁴ ლენინი - ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი (1870-1924) - რევოლუციონერი და მომხრე
⁵ ბეტჰოვენი - ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან (1770-1827) - გერმანელი კომპოზიტორი
⁶ კანტი იმანუელ (1724-1804) - დიდი გერმანელი ფილოსოფოსი

ჰექსელი ჩაფიქრდა.
- მე მგონი თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით, და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, თუ როგორ გადაიტანეთ ამდენი, მრავალგვარი უბედურება... მე შეიძლება ისე კარგად არ ვიცოდეთ თქვენი ისტორია, მაგრამ რაც ვიცი, მაკვირვებს, როგორ გადარჩით ამდენს მტერს... მტერს უცხოს, შემოსეულს, მტერს შინაურს. და თქვენ გაკაჟებული იბრძოდით არსებობისთვის...
- ეს არის პირველი. ყველა დანარჩენი - ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი - სიმდიდრე დოვლათი, დოლარი - თქვენთვის მეორე ხარისხოვანი მოთხოვნილება იყო თქვენი სულის. მე შევხვედრივარ საქართველოში ყველა მიმართულების მდგომარეობისა და ასაკის პიროვნებებს, და განცვიფრებული დავრჩენილვარ... სადაც სრულიად მოულოდნელია, იქაც კი იპოვიდით ამ მძაფრ, ავადმყოფურ მუდმივ ფიქრს ეროვნულ სხეულის შენარჩუნებისას...

- ასე არ იყო, მგონი, წინათ...
- არა, ასე იყო სწორეთ, რამდენათაც მე ვიცი... თქვენი მეცნიერების, მხატვრების, სწორეთ ეროვნული სხეულის შენარჩუნების იდეა იყო.
- თქვენის მხრით რა უნდა გვექნა?
- ვერ გეტყვით... ერთი, რომ მე, როგორც გაამერიკელებულ ინგლისელს - ჰექსელის გაეღიმა - ასეთი კითხვებით დაინტერესება არ შემიძლია - მე ვეძებ მილიარდებს; და მეორე, საერთოდ, ყოველივე წინასწარმეტყველება მკრეხელობათ მიმართ... ყველა წინასწარმეტყველი საქმის შესრულების შემდეგ არის დაბადებული, ან გამოგონილი; ან თვით წინასწარმეტყველებს გამოუგონიათ ამბავი, დაუჩემებიათ, ვიწინასწარმეტყველეო...
ბრომლეის პირველად ჰამბურგში² ნავთსადგურში მოსტაცა თვალი ელიმ.
ბრომლეიმ ქალის გაცნობა ვერ გაბედა, თუმცა საერთო ნაცნობი ბევრი ჰყავდა; მორცხობამ თვით ბრომლეი გააკვირვა და შორიდან დაჰყვებოდა დრუბლის ჩრდილივით.

ელიმ შეამჩნია, რომ ყოველ ქალაქში, ყოველ გამოფენაზე ან თეატრში უეჭველად შეხვდებოდა ბრომლეის, რომელიც ღრმა პატივისცემით გზას დაუთმობდა, ქულს მოუხდიდა და სხვა...

ბოლოს კი აედევნა, როგორც სამოგზაუროდ ევროპაში ჩამოსული ამერიკელი, რომელმისთვისაც სულ ერთია, რომელ ქალაქშიაც იყოს, ოღონდ სიამოვნებით გაატაროს დრო.

და ამდენი ხნის განმავლობაში ბრომლეიმ ვერ გამოარკვია, თუ რა განწყობილება იყო ელის და ჰექსელის შორის.

- შეგობრები? არ მწამს ქალ-ვაჟის მეგობრობა... უქორწინო ცოლ-ქმარია? მეტად შორი-შორს უჭირავთ თავი... მართლაც პოლიტიკური მოღვაწეები არიან, რომელთაც საიდუმლო მინდობილება აქვთ? შეიძლება, მაგრამ არა მგონია. - ასე ფიქრობდა ბრომლეი.

უფრო და უფრო იზიდავდა ელი.

¹ დოლარი (ინგ.) - ფულის ერთეული აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყანაში
² ჰამბურგი - უდიდესი ქალაქი და ნავსადგური გერმანიაში

განიზრახა ამერიკაში დაბრუნება; იგრძნო, რომ ქალის დაშორება მეტად უძნელდება...

- რაო?! ამ სიბერის დროს შემეყვარდა?! რა სისულელეა! ყინი მინდა დავიკმაყოფილო, თუ ეს საიდუმლოება მიზიდავს?.. გაუგებარი ამბავია!..

და ყოფილი იჭვი ჰექსლეისადმი გაასკეცდა; წინად ასეთ შემთხვევაში ბრომლეი პირდაპირ, ცინიკურად შეეკითხებოდა ან ქალს, ან ვაჟს, - სულ ერთია, - ან ორივეს ერთად; ან მიმართავდა მაძიებელ კანტორას, და ყველაფერს დაწვრილებით გადმოულაგებდნენ. მაგრამ ეხლა ელის მიერადა, ელის საიდუმლოს სახალხოთ გამოფენა, თითქოს მასაც აკლებდა რაღაცას.

„რით ცხოვრობს მაინც ეს ქალი? ესეც კითხვაა“...

გადაკვრით ჰკითხა მუსაიფში ჰექსლეის და სრულიად გულახდილი პასუხი მიიღო:

- ქალბატონ ელის გულზე აქვს საუნჯე, რომლის დახარჯვა არც კი შეიძლება ოთხი-ხუთი წელი, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ძლიერ შეზღუდულ მთხროვნელებს.

ბრომლეის ეგონა, ჰექსლეი ქალის სხეულის რაიმე თავისებურებაზე ამბობსო. და წარბები შეჭმუნა.

- მე არ ვარ სპეციალისტი, - განაგრძო დაწყებული პასუხი ჰექსლეიმ, - მაგრამ ვატყობ, რა უცხო რამ არის.

ეხლა კი ბრომლეის გაუხარდა, საიდუმლოებას ფარდა ეხსნებო, და ცნობის მოყვარულობით ჰკითხა:

- რა საუნჯე?

- მედალიონი, unicum-ი, X-XII საუკუნისა, რომელსაც ყოველი მუზეუმი სიამაყით შეიძენდა.

მაგრამ არ შემწყვდარა ბრომლეის ზვერვა.

კარის დაუკანებლად, უეცრად ვერ ბედავდა ბრომლეი იმ ოთახში შესვლას, სადაც ელი-ჰექსლეი ისხდნენ, მაგრამ პასუხს არ უცდიდა, ისე შედიოდა სწრაფად, ზოგჯერ კარის კლიტის ჭვრიტიმალშიაც¹ დარცხვენით, საჩქაროდ შეიხედავდა... და ყოველთვის ნახულობდა სათანადო მანძილზე მჯდომ ან მდგომ ელი-ჰექსლეის... ან ფურცლავდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ან მუსაიფობდნენ ჩვეულებრივად, ისე რომ ლაპარაკის ძაფსაც კი ვერ აწყვეტიდნებდა შემოსულის ხმამაღალი და დამხდურთა მეგობრული მისაღება.

ერთ საღამოს, გვიან ღამით, როცა სამივე ოპერეტა² - ყავახანიდან დაბრუნდა, ბრომლეიმ აასრულა ავტომობილში მოსაზრებული გეგმა - იგი მიიშალა ლიფტის ოთახში.

¹ ჭვრიტიმალი - მცირე ზომის ნახვრეტი კედელში - ჭუჭურუტანა

² ოპერეტა - ოპერეტა (იტ.) - კომიკური მუსიკალური წარმოდგენა, რომელშიც სიმღერები, ლაპარაკი და ცეკვები ერთმანეთს ენაცვლება

³ ჯახ-ბანდი - ჯახი (შერეული შემადგენლობის ორკესტრი, რომელშიც სჭარბობს ჩასაბერი და სარტყმელი საკრავები)

მთელი საღამო ვნებათა აღმზნებელ ატმოსფეროში იყო სამივე. ოპერაში მოისმინეს „ტრისტან და იზოლდა“; ყავახანაში კი გარდა უნგრულ მუსიკისა, ჯახ-ბანდის³ და ყვაილების ერთმანეთში სროლისა, ყველაზე კარგად იმოქმედა მეტრ-ლოტელის⁴ მიერ უზგ სტუმრებისთვის შეზავებულმა „კრიმპილდას სასმელმა“⁵, რომლის ორმა-სამმა ყლარტმა³ ელისაც გაუბრწყინა თვალი და არა ერთხელ მზაკვრულის ღიმილით ათქმევინა ჰექსლეისთვის, რომ იგი შორიდან და, უეჭველია, უიმედოთ ეალერსება გვერდით მჯდომ ესპანელ მომღერალ ქალს. მართლაც, ჰექსლეიმ მოიბოდიშა და სუფრიდან წავიდა, რის შემდეგ მომღერალ ქალის სუფრაზე გაჩნდა მთელი პატარა ბადი. და ქალმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია ჰექსლეის, რომელმაც ნამალევადვე ჭიქის აწევით უპასუხა. ელის ეს არ დაუნახავს - ისე მხოლოდ ატყობდა რაღაცას.

ასეთი საღამოს შემდეგ ბრომლეი ფიქრობდა, რომ, თუ რამე კი არის მათ შორის, გამომჟღავნდებაო.

და სულ-განახული იჯდა გაჩერებულ ლიფტში.

ჰექსლეი გამოვიდა თავის ოთახიდან.

ბრომლეიმ გადასწყვიტა, წინ გადაღობებოდა, მაგრამ ჰექსლეის შეხედულება შეაჩერა: თავს ცილინდრი ეხურა და ტანზე პალტო ეცვა.

ფეხ-აკრეფით უკან გაჰყვა.

ჰექსლეი კიბეზე ჩავიდა.

ბრომლეის თვალწინ წარმოუდგა ესპანელი მომღერალი ქალი.

„უცდის, უეჭველია, პაემანი აქვთ“...

ელის ოთახებს მიაყურა.

სიჩუმე.

ოდნავი შრიალი...

„ჟურნალს ფურცლავს, ალბად“.

„არაფერი მესმის, ვერ გამიგია“...

გასწია თავის ოთახისკენ; აქ, დერეფანში, სინათლე უზვად ჩამოდიოდა; ფეხის ხმაც მოესმა. და აყვა პირველსავე პაწია კიბეს - არ შეამჩნიონ, რომ ვხვერავდიო. სხენი, წინად თეთრეულის საშრობი და დეკორაციების⁴ საწყობი, ბ. ბრომლეის ჰქონდა დაკავებული. აქ ისროდა საბმელს, ეკრივებოდა მოკრივეს, ხტოლა მაგიდეზე, დგებოდა თავზე, დადიოდა ხელებზე... იძინებდა იგი გამაკში.

იქვე კუთხეში რამინომ თავისი კარავი მოაწყო.

ბრომლეი აპირებდა მიმალულიყო, ჩვეულებრივ ჩაფი წყალი ტანზე გადაესხა, და, რადგან არავინ ყავდა სავარჯიშოთ, მანეკენთან⁵ გაემართა კრივი.

¹ მეტრ-ლოტელი (მეტრ ლოტელი-ფრ.) - უფროსი ოფიციალტი რესტორანში

² „კრიმპილდას სასმელი“ - ალკოჰოლიანი სასმელი

³ ყლარტი - 1. დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა. 2. ჩიბუხის ტარში დაგროვილი მოყვითალო, ლორწოვანი მასა

⁴ დეკორაცია (ფრ.) - სცენაზე მოქმედების ადგილის მხატვრული გაფორმება

⁵ მანეკენი (ფრ.) - ადამიანის ფიგურა

ფიქრებში გართულმა გაიარ-გამოიარა და უეცრად ინდოელის კარავს მიადგა. კარად ჩამოშვებული ფარდა გადაწეული დარჩენოდა რამინოს, და იქიდან მზის ცოცხალი სხივი ეფინებოდა იატაკს.

შეიხედა. კარავს მეორე მხრიდან ტილო არ ჰქონდა ჩამოშვებული და სხვენი პირდაპირ უსახლვრო სივრცეს უერთდებოდა.

ბრომლეი უფრო გააკვირვა აღმოსავლეთისაკენ სახე-მიპყრობილმა რამინომ, რომელსაც ხელები თავის უკან გადაეხლართა.

- ნამაზს¹ ასრულებს? - და ბრომლეის უნდოდა გაშორებოდა იმ ადგილს, მაგრამ შეამჩნია, რომ ინდოელი ნელ-ნელა ეშვება ფეხის წვერებზე.

ბრომლეი ცქერად გადაიქცა.

ინდოელი ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავდა - იმდენად სწორი, მკვრივი, მოხდენილი და ყოველი ნაკვთის მოძრაობაში იმდენად სიცოცხლით სასვე იყო.

- არა, ეს ლოცვა არ უნდა იყოს... ეს ვარჯიშობა... თავისებური. - გაიფიქრა ბრომლეიმ.

რამინო ხან სრულიად შეწყვეტდა სულის თქმას, დიდ ხანს, დიდ ხანს; ხან კი ისე მოითქვამდა სულს, რომ თითქოს სიმაღლე ემატებოდა...

ბოლოს ინდოელი წყნარად შემოტრიალდა და ისეთის სისწრაფით მოისხა ხალათი, რომ ბრომლეის ეს მოძრაობა სრულიად გამოეპარა.

- ვიჭიდაოთ! - მიმართა ბრომლეიმ.

ინდომ მდაბლად თავი დაუკრა და თავაზიანად უარი უთხრა თავის გაქნევით.

- არა, უნდა მეჭიდო...

ისევ ღრმა თავის დაკვრა და ისევ უარი.

- დავენიძლაოთ!

ინდოს გაელიმა:

ბრომლეიმ აღარ აცალა ინდოელის გარკვეულ პასუხს და ხელი ჩაავლო, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ბრომლეიმ განცვიფრებით შენიშნა, რომ იატაკზე წევს, ინდოელს კი ხელები ჩვეულებრივ გულზე დაუკრეფია და მშვიდად დასცქერის, მხოლოდ ხალათი დავარდნია ძირს.

- ჭიდაობაში მაჯობე, უეჭველია... ნიძლავი ჩემზეა, ახლა კრივი ვსინჯოთ.

ინდომ ნიშნად სრულის უარყოფისა უკან დაიხია და თავის ხალათს წამოკრა ხელი ასაღებად.

- არა, ვერ გაგიშვებ, უნდა ვიკრივოთ, - გზას უღობავდა ბრომლეი და საკრივოდ გასწია მუშტები, მაგრამ ამავე ღროს მარჯვენა ხელში რაღაც ისეთი მოხვდა, რაც სრულიად არ ჰგავდა მუშტს და სიმწრისაგან უკან დაიხია.

- ეს რა ყოფილა?!

ინდოელმა ზრდილობიანად თავი დახარა, თითქოს ბოდიშს იხდისო, რომ სურვილს ვერ უსრულებს მოწინააღმდეგეს, და წყნარის ნაბიჯით მიიმალა ქვედა სართულში...

¹ ნამაზი (არაბ.) - მაჰმადიანთა ლოცვა

.....
საუზმეზე ელისთან შევიდა ჰექსლეი და ბრომლეი.

- დამითმეთ თქვენი ინდოელი, - მიმართა ბრომლეიმ ჰექსლეს.

- არ შემიძლია.

- 10.000 დოლარი.

- მე ხომ მონები არ მყვანან.

- 15.000... თქვენ ნუ შემომლით ოღონდ ხელს, რამინოს მე თვით მოველაპარაკები.

- თუ რამინო არ იქნება წინააღმდეგი, ასეთი თანხის უარის ყოფა ძნელია.

კუთხეში მდგარი რამინო ადგილზე ოღონდ შეინძრა; მან საყვედურით ერთი გადაჰხედა ჰექსლეს, და სახემ იმავე წამს ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო.

- რას იტყვით, რამინო? - დაეკითხა ბრომლეი.

- თქვენ მარტო თანხმობისთვის 15.000 აძლევთ ბატონ ჰექსლეს?... ჩემი გასამრჯელო სრულიად დამოუკიდებელია ამ თანხიდან?

- სწორედ.

- მაშ მიეცით!...

რამინო ნელის ნაბიჯით გავიდა ოთახიდან...

...და სამუდამოდ გაჰქრა.

ვერ ნახეს მხოლოდ მისი ტანსაცმელი, სხვა ყველაფერი, ნაჩუქარი ნივთებიც კი, დაწყობილი დახვდათ მაგიდაზე და ორი სიტყვა ინგლისურად;

„აღარ მომწონს, რაც აქ ხდება“.

.....
კარზე დაკაკუნების შემდეგ ბრომლეი და ჰექსლეი ახალგაზრდულის მხიარულებით შემოვიდნენ, თითქოს ერთმანეთს მოსდევდნენ.

- თქვენ უნდა გაგვასამართლოთ, ქალბატონო.

ელი მათ მიუბრუნდა:

ვერ გაიგო, რას ელაპარაკებოდნენ.

მეტად მოწყენილმა სახემ ორივე შეაკრთო.

- რა გნებავთ? - ნაძალადევის ღიმილით შეეკითხა ელი.

- რამინო წავიდა...

- ვიცი... ბედნიერი... - კიდევ უფრო მწუხარე სახე ფანჯრისკენ მიიბრუნა.

„შენც უნდა წახვიდე. შენც უნდა წახვიდე“. - თითქო რაღაც უძლეოდა ყურებში.

- რა ვქნა, ქალბატონო, გარწმუნებთ, ჯერ-ჯერობით ჩემთვის შეუძლებელია რუსეთში წასვლა, და არც თქვენ გირჩევთ, რომც მოხერხდეს...

- ყოველ საშუალებას ვინმარ, რომ გამოვაწყო თქვენი გამგზავრება, ოღონდ ცოტათი გამხიარულდით, - დაუმატა ბრომლეიმ, რომელსაც სრულიად არ შეეძლო მწუხარების ცქერა.

ელიმ სახეს თითქოს ხელით გადააფარა ღიმილი.

- ... და მერე რა გნებავთ?

- ბ. ჰექსლეს არ მიაქვს რამინოს დათმობისათვის დაპირებული თანხა; - გაუხარდა ბრომლეის, რომ ელი ჩვეულებრივ მუსაიფში ჩაება.

- როგორ გამოვართვა, როცა რამინო წავიდა, ბ-ნ ბრომლის მისი სამსახურით არ უსარგებლნია...

- თქვენ ხომ დაუთმეთ თქვენი უფლება; და რამინო როგორ მოურიგდებოდა ბ-ნ ბრომლის, ეს მათი საქმე იყო...

- აი, აი მეც ამას ვამბობ... კარგია ეხლა გავათავოთ...

ჰექსლიმ გამოწვდილი ჩეკი¹ პორტმანში² უკმაყოფილოდ ჩაიდვა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რაც მეტად აწუხებდა ბრომლის.

„ის იტანჯება; ჩვენ მოსვენებას არ ვაძლევთ“, - ფიქრობდა ორივე ვაჟი.

ელი არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ გარინდულს ესერებოდა გული.

- რამინოს წასვლამ ყველა ცუდ გუნებაზე დაგვავყენა... ვილა ეშმაკია ეს რამინო. გვიამბეთ მაინც, - მიმართა ბრომლიმ ჰექსლის.

ჰექსლიმ ბუნარში ფიხნები შეჭყარა, - ეტყობოდა მომავალი მოთხრობის ჩარჩოებს ხაზავდა და სავარძელზე გადაჯდა.

ჰექსლის ამ მოძრაობას ელიმ ისეთნაირად შეხედა, რომ ჰექსლი წამოდგა და სავარძელზე დაჯდა; ბრომლიმაც გრძლად გაშლილი ფეხები გაისწორა.

- უკაცრავად, მე მინდოდა შემექმნა ინგლისში ჩვენი კლუბების ილლუზია, სადაც ცალკე ოთახში, ბუნართან დასდასათ ასე ვჯდებოდით და გრძელ ამბებს მოუთხრობდით ერთმანეთს...

- იქ მანდილოსნები არ გისმენდენ უეჭველია... მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, გვიამბეთ ოღონდ.

- მაპატიეთ... მე ძლიერ ადრე შევირთე ცოლი, რაც ეგრე იშვიათია ინგლისში. პირველ თვეებშივე შევამჩნიე, რომ ჩემი მცირე შემოსავალი ვერ დააკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას და გადავწყვიტე სადმე, როგორმე ისეთი ქონება შემეძინა, რომ უზრუნველმყოფო როგორც ცოლ-შვილი, ისე ნახევრად მეცნიერული, ნახევრად ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობის სურვილები - მე თექვსმეტი წლიდან უკვე შევეუდექი აღმოსავლეთის შესწავლას. და აი ინდოეთს მივმართე, სადაც წინათ მსახურობდა მამა და სადაც მრავალი ნაცნობები შერჩნოდა ჩვენს ოჯახს. ჩემი ძმაც დროებით იქ იყო. პირველ ჩასვლისთანავე საქმე კარგად წავიდა. მე უკვე იმედი მქონდა უკან დაბრუნებისა - მდიდარმა ბუნებამ და გამოუცდელმა და მეტად პატიოსანმა ხალხმა საშუალება მომცა მალე მიმეღწია მიზნისათვის. მართალი გითხრათ, მე სიყვარულითა და მაღლობით საჯსე ვიყავი ინდოეთისადმი - და ბევრი რამ თეთრ-კანიანთა განწყობილებისა ინდოელთადმი სრულიად უსაფუძვლოდ, უპირობოდ და უსამართლოდ მეჩვენებოდა.

უმთავრესი საზიზღარი ის იყო, რომ თეთრი, ინდოელის მიმართ მუდამ მართალი უნდა დარჩენილიყო; ყოველ ევროპეულს უეჭველად მხარი უნდა დაეჭირა თავის, ასე ვთქვათ, „თანამოკალმისათვის“.

- ბოდიშს ვიხდი ბატონო ჰექსლი, - ამერიკელს გრძლად დალაგებული მუსაიფი ველარ აეტანა, - მაგრამ ჩვენ, მგონი, თეატრში ვაპირებთ წასვლას.

- ...ეხლავე... შევამოკლებ... და აი ერთხელ, როცა ვიწრო ქუჩაში შევუხვიე, ვხედავ ვიღაც წაიქცა... რევოლვერი გავარდა... ინგლისელი ოფიცერი აპირებს წაქცეულს ხელმეორედ ესროლეს; რევოლვერზე ჯოხი დაკვარ. რევოლვერი ხელში გაუვარდა. ინდოელი წამოხტა და აუჩქარებლის ნაბიჯით გაუდგა გზას.

ოფიცერი მომიბრუნდა და მითხრა:

- თქვენ ამინაზღაურებთ შეურაცხყოფას...

რა დამრჩენოდა მეთქვა, გარდა იმისა, რომ მზათა ვარ.

განვაგრძე გზა.

უეცრად წინ გადამედობა ინდოელი, რომელმაც მძიმედ თავი დამიკრა.

მე უკმაყოფილოდ შევხედე, და იგი ისეთივე მძიმე თავის დახრით გამშორდა.

მთელი კოლონია, განსაკუთრებით ინგლისელებსა, აყაყანდა.

მე გამოვედი მოღალატე.

ჩემი მეტოქე ოფიცერი, ვიღაც ბარონეტის¹ მემკვიდრე, მეტად მდიდარი და მეტად უმწეო, ჩემს თანაგრძნობასაც იწვევდა.

იგი სრულიად არ იყო მახეზარი, მაგრამ ახლა იძულებული გახდა, როგორმე დაედწია თავი საერთო ზიზღისა და დამცირებისაგან.

დუელი მეორე დღეს უნდა მომხდარიყო. პირობები მეტად სასტიკი დადგეს - „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“. საგონებელში ჩავვარდი. მეტოქის მოკვლა არ იყო ძნელი. მაღალი, გრძელ ხელებიანი, სუსტი და მოუხეშავი, როგორც არიან ალკოპოლით დაავადებული სხეულები... მაგრამ მის სიკვდილს უეჭველია მოჰყვებოდა ინგლისის საზოგადოების მხრით ჩემი მუდმივი დევნა... და მე ხომ არც ბაირონი². ვარ და არც შელლი...³

გადავწყვიტე, თავი გადამეღვა და როგორმე უსიკვდილოდ გამოვსულიყავი ამ ბრძოლიდან.

გეგმა დავაწყვე და ხასიათის მთელი ენერგია შემოვიკრიფე.

მე ვცდილობდი მოწინააღმდეგე ისე დამეღალა, რომ ხელი ათრთოლებოდა და, როცა ხმალს გაკავადებინებდი, დამბაჩის დამიხზება მარცხენა ხელით ვერ მოეხერხებინა.

ამ გადაწყვეტილებამ ორი მძიმე ჭრილობა მიმადებინა. მაინც ვიბრძოდით მთელი ორი საათი. მოთმინება დაკარგული სეკუნდანტები გვაქეზებდენ.

როცა ვიფიქრე, დრო დადგა-თქო, ქვევიდან აქნევით მკლავში მძიმედ დაგვეკერი. სეკუნდანტებმა აღარც კი შეგვაჩერეს, რომ ბოლო დადგომოდა ჩვენს ფარიკაობას, მაგრამ სისხლმა იფეთქა და ხმალიდანაც კი წვეთა იწყო.

ექიმმა განაცხადა, ხმლით ბრძოლა აღარ შეიძლებაო.

დამბაჩები მოგვეცეს...

¹ ბარონეტი (ინგ.) - თავაღმანაურული მემკვიდრეობითი ტიტული ინგლისში

² ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788-1824) - დიდი ინგლისელი პოეტი. მონაწილეობდა საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იქ გარდაიცვალა და დაკრძალულია საბერძნეთში

³ შელლი პერსი ბისი - ინგლისელი პოეტი. ოჯახური დრამის გამო გადასახლდა იტალიაში, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა ზღვაში.

¹ ჩეკი (ინგ.) - ქვითარი ვარკვეული თანხის გადახდის შესახებ

² პორტმანე - პორტმონე (ფრ.) - საფულე

დადლილმა მეტოქემ მარცხენა ხელით ვერ ამოძიო ნიშანში... ისევ მე დავჭერი. დუელი გადაიდო მეტოქის გამომთელებამდის... მანამდის კი აკრძალული მაქვს ინგლისში ჩასვლა.

საცოდავი დღემდე ცოცხალია... ვერ მოიკეთა... დასახიჩრებული ესლაც ნახევრად ლოგინად წევს და...

მე ხომ დავეხტივარ.

- დიდი მსხვერპლი შეგიწირავთ... დააფასა და გადაეხიხათ მაინც რამინომ? - ვერ მოითმინა ბრომლეიმ.

- ესლავე... დუელის მეორე დღეს, როცა მე ოთახში მარტო ვიწვი, და მხოლოდ მოწყალეების და მიჯდა სასთუმალთან, უეცრად კარებს დააკაკუნეს.

- მობრძანდით.

შემოვიდა ინდოელი. ღრმად დახარა თავი. ძლივს ვიცანი...

- რა გნებავთ? - უკმუნად შევეკითხე.

ისევ ღრმად თავი დახარა, ხელი გაიქნია, ნიშნად იმისა, რომ არაფერი არ სურს, მომიახლოვდა, თვალეში ჩამაცქერდა, თითქოს გამშინჯა, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი და თავდახრილი უკან-უკან სიარულით მიიძალა კარებში.

მოწყალეების დამ მხრები აიჩეჩა და მრისხანე თვალეები გააყოლა.

- მეტი არაფერი? - ისევ წამოიძახა ბრომლეიმ.

- მოვრჩი, - განაგრძო ჰექსლეიმ, - მაგრამ ქალაქში არ დამეგომებოდა; მეტად თვალსაჩინო ბრალმდებლად ყველგან წინ მიმიძლოდა სიკვდილს გადარჩენილი, მაგრამ ინდოელის გულისათვის მიმიმედ დაჭრილი ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც, რა თქმა უნდა, მრავალი ყავდა ქომაგი ამხანაგთა და განსაკუთრებით მანდილოსანთა წრეში, რომლის ერთ-ერთ წევრს შეეძლო გაბედნიერებულიყო მისი შეძლებითაც და საგვარეულო გვირგვინითაც...

გადაესახლდი შორს... სადაც ევროპიელი იმპიათად მიდის... საქმე იქაც გაკეთდებოდა.

...და როცა ჯერ კიდევ მოწყობილიც არ ვიყავი ახალ ბინაზე, ფანჯარაში დავინახე პატარა ხურჯინით ხელში რამინო... მას მერე არ დამშორებია...

- ეს ძლიერ ცოტაა!..

- რამინო მუდამ მხარში მიდგა, და თუ რამე მაქვს ესლა, მისი გამჭრიახობის, საქმის და ქვეყნის ცოდნისა და დაუზარებლობის შედეგია.

- ამასვე იხამდა ყოველი პატიოსანი ნოქარი!¹

- თქვენ გნებავთ რამინოს მხრივ გმირული თავდადება... ინებეთ, ერთხელ, ჰიმალაის² მთებში, ნადირის დევნით დადლილები, ძლივს ამოვფორთხდით ნაპრალიდან. მე ფეხზე ვიდექი და ზურგიდან ჩანთას ვიხსნიდი, რამინო იჯდა და გახდილ წალიდან სილას ირეკდა. სრულიად მოულოდნელად ჩემს წინ აღიმართა ვეებერთელა დათვი. იარაღის ხმარების დროც აღარ იყო; რამინო ისე ხერხიანად წამოღგა, რომ ჩემსა და დათვის შუა გაჩნდა, გაშლილ თათებში ხელი სტაცა და ასე წუთით გაქვავდენ. უეჭველია დათვი ჩაბლუჯნიდა რამინოს, რომ იგი უეცრად

არ დახრილიყო და თავის დათვის ყბის ქვეშ არ ამოეკრა. წონასწორობა დაეკარგათ ორივეს, გადატრიალდა ორივე... მცირე დაქანების შემდეგ იწყებოდა თვალუწვდენელი წკვარამი...¹ ორივე მურგვივით² ერთმანეთში გადახვეული იქითკენ გაექანენ... და აი დავინახე, რომ რამინო ნიკაპით ხრამის პირათ ჰკიდიდა... დათვი კი არა სჩანს... ხრამში გადავარდნის დროს რამინოს ხელი, უეჭველია, შემთხვევით ჩაეტანებია რაღაც ფესვისთვის და ამით გადარჩენილიყო. მაგრამ ქვედა ტანი ვეღარ ამოეტანა ზევით, ისე დამტვრეულ-დაბეგვილი ჰქონდა სხეული... მინდა ამომეზიდა, მაგრამ მომამხა:

- ა, ა, ნუ დამანძრევთ... კუნძი სუსტია... ბლაუჭში სრულიად ამოვარდება. გადახლართეთ ილიის ქვეშ გულ-მკერდზე ბაწარი და მოადევით ზევით ხეს და ისე ამწიეთ... ოღონდ ჩქარა, თორემ ხელი მღალატობს...

ასეთის საშუალებით, გაჭირვებით, ცოტა ზევით ავითრე... გვერდი გატეხილი აღმოაჩნდა, ყური თითქმის მოგლეჯილი, გულზე და მუხლებზე ტყავი ჰქონდა გადამძვრალი, ფრჩხილები ამომძვრალი და არა თუ კრინტი, კენესა არ აღმოხდენია, გონება არ დაკარგვია, არამედ ხმაც არ შესცვლია, მოსაზრება არ შესუსტებია...

- ბედნიერია, ვინც ასე კაჟივით³ არის გაჩენილი, - ჩაილაპარაკა ელიმ.

- და წარმოიდგინეთ, მთელი ავადმყოფობის დროს თვითონ იძლეოდა განკარგულებას, თვითონ შეაკვრევინა ჭრილობები, თვითონ გააკეთებინა რაღაც ბალახების წვენი და იარებზე დააფენინა რაღაც ფოთლები... ჩვენს ექიმებზე უარი სთქვა... დიდ ხანს იწვა, მაგრამ ისე ადგა, რომ ჭრილობის არც ერთი ნიშანი, არც ერთი ხაზი არ დარჩენია.

- ამას მეც დავამოწმებ: სხეული თითქოს ხელუხლებელი ჰქონდეს, მე იგი, უკაცრავად ქალბატონო, სრულიად ტიტველი ვნახე, - დაადასტურა ბრომლეიმ.

- დიახ, ეს ვაჟკაცობა! - დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დასძინა ბრომლეიმ...

მუსაიფი არ ებმოდა.

- მე უფრო ყურადღებით მოვისმენდით, თქვენ რომ გეამბნათ იმ ახალგაზრდა ფრანგ დიპლომატზე, რომელიც მისმა ბიძამ, დიდმა მოხელემ, გააგზავნა ინდოეთში განსაკუთრებულ საიდუმლო მინდობილობით, - ვეღარ დააკავა ენა ბრომლეიმ. - ინგლისურმა გვარმა ხელი შეუწყო დაახლოვებოდა ინგლისელ მოხელეთაც... სხვათა შორის ის დაუმეგობრდა საიდუმლო საქმეთა ინგლისელ წარმომადგენელს, რომლის ხელში თავი მოეყარა ისეთს ცნობებსა და საბუთებს, ისეთს პირებთან გაება საიდუმლო კავშირი, რომ მისი თავიდან მოშორებას უეჭველად მოითხოვდა საფრანგეთის საქმის ვითარება. მაგრამ ახალგაზრდა ფრანგმა, შეიძლება გამოუცდელილობისა და შეიძლება თავისი რაინდული ხასიათის გადამკიდემ, არ იკადრა ნამალევად, სხვისი ხელით, ინგლისელის მოკვლა და ისარგებლა ქუჩაში მომხდარ რაღაც ჩოჩქოლით და იქვე ევროპიულ წესების დარღვევით, მართალია, თანაბრად შეიარაღებული მტერი, რამდენჯერმე სასიკვდილოდ დასჭრა.

- თქვენ საიდან გაიგეთ ეს ამბავი?

- ყოველი ადამიანის შესახებ, რომელთანაც მე სავაჭრო ურთიერთობას ვიწყებ, ხშირად ჩემდა დაუკითხავადაც კი, ჩემი ძლივანი ჰკრებს ცნობებს.

¹ წკვარამი - აქ: ბნელი უფსკრული; ხრამი; ღრმა ორმო

² მურგვი-მორგვი - 1. მოკლე მორი -კუნძი. 2. გორგალი.

³ კაჟი - ძალიან მაგარი ქვა, ხმარობდნენ ცეცხლის დასაკვესებლად;

¹ ნოქარი - დაქირავებული გამყიდველი

² ჰიმალაი (სანკ. ჰიმა-თოვლი, ალაი-საცხოვრებელი) - მსოფლიოს უმაღლესი მთათა სისტემა ინდოეთის, ჩინეთის, ნეპალისა და პაკისტანის ტერიტორიებზე

- მამ ჩემზედაც გეკენებათ ცნობა, ბატონო ბრომლეი, - ჩაერია ლაპარაკში ელი.

- მე მოგახსენებ „სავაჭრო ურთიერთობა“; ესეთიურ მხარეს მდივანი ვერ შეეხება...

ბრომლეის თავის პასუხი მოეწონა.

- განაგრძეთ, განაგრძეთ დაწყებული ამბავი.

- შეტაკებას დიდი შედეგი მოჰყვა: ინგლის-საფრანგეთის შორის უსიამო მიწერ-მოწერა დაიწყო; მსხვერპლად დაეცა, გარდა ახალგაზრდა დიპლომატისა, მისი ბიძაც... ოჯახი გაუბედურდა... მაღალმა სწოგადობამ ცუდათ შეხედა არა ჯენტლმენურ საქციელს. ახალგაზრდა გარიყული დარჩა, და იგი შეუდგა ცდას, როგორმე დიდი სიმდიდრის შექმნითა და ან რაიმე პოლიტიკური აქტით ერთბაშად გამოეყიდა შეცდომა, აღედგინა ოჯახი და თავისი სახელი...

- აი თურმე რისთვის მაჩქარებდით, - ძალდატანებით გაიღიმა ჰექსლეიმ, - თქვენ ხომ რამინოზე მეკითხებოდით და არ მეგონა, თუ გაინტერესებდათ ვიღაც ფრანგი ახალგაზრდა დიპლომატის სწორი ბიოგრაფია. - ჰექსლეიმ ხაზი გაუსვა სიტყვას „სწორი“.

ელისთვისაც ნათელი გახდა, რომ ბრომლეიმ ბ-ნ ჰექსლეის ცხოვრების აღწერაში შეიტანა შესწორებანი და ამ ორის დაქიმებამ უსიამოთ იმოქმედა.

ბრომლეი მიუხვდა ქალს.

- ყოველ შემთხვევაში მე უსურვებდი ახალგაზრდა ფრანგს კეთილშობილ მიზანს მიაღწიოს... მალე, - ბრომლეი ეხლა ეჩვეოდა სალონურ მუსაიფს და ეს ამკარა ლაპარაკი ძლიერ მალულ გადაკრულ თქმად ეჩვენებოდა, და ასეთი ხერხი მეტად ახარებდა.

- წავიდეთ, თუ მივიდვართ... - ვედარ მოითმინა უხერხულობა ელიმ.

- ურიის ქალზე? - იკითხა შემკრთალმა ჰექსლეიმ.

- სიამოვნებით! - დაეთანხმა ელი.

- სადაც გნებავთ, ოლონდ სამწუხარო არ იყოს... - დაუმატა ბრომლეიმ.

- უკანასკნელ სცენას ნულარ მოუცდით, რადგან ასეთი ნერვებიანი გახდით, ბატონო ბრომლეი, - ღიმილით შენიშნა ელიმ.

- ასეთის ღიმილით თუ დამაჯილდოვებთ, მოვრჩები...

ელიმ არაფერი უპასუხა, და სამივე გაემართა კარებისკენ, რომ თეატრში წასასვლელად მომზადებულიყვნენ...

ყავანანა „საიდუმლო ბუ“.

წინა ოთახი.

მოსასხამს იხდიან.

სარკესთან ემბლემით დადგმულ ვეებერთელა ბუს ტიკინის¹ თვალეში ელიმ დაინახა, რომ ზანგის ქალი ხელით კოცნას უგზავნიდა ჰექსლეის; უკანასკნელსაც რაღაც უნდა ენიშნებინოს, მაგრამ ჰექსლეის მხოლოდ ზურგი მოსჩანდა და თანაც იგი სწრაფად შემოუბრუნდა ელის და მიაწოდა მოსასხამის გახდის დროს ჩამორთმეული რელიკული.

¹ ტიკინა - დედოფალი; თოჯინა

„ასე დამემართება მეც! ასე უნდა მოვიქცე მეც!“...

ამ ზარმა დაჰფარა ელის მთელი გონება და სხეული.

- ქალბატონი გორდელიანისა მოდის...

პატარა სუფრაზე მჯდომმა ორმა მობასემ შორიდან დაუწყეს მორიდებული ჭვრეტა; როცა მათ ჩამოუარა ელიმ, ერთი მათგანი ადგა - მას მეორეც აჰყვა - და თავმდაბლად თავი დაუკრეს.

- წარმოიდგინე, კონრად, მე თავს არ ვიღებდი ამ ქალის სურათის დახატვას, - მეტად ბევრია მაში შინაგანი დიდებულება, რაც არ მეხერხება; ან საიდან უნდა შეეძინა ჩემს ყალბს! ასეთი უნარი, - ოც წლამდე ერთი ლაღათ გაზრდილი აღამიანი არ მინახავს...

- მე კი სიამოვნებით ვსინჯავდი, მაგრამ ქალბატონს გადაჭრილი უარი განუცხადებია.

- მილიარდერ „დავენინზლოსთვის“?

- დიხ მისთვის... ნანახ სურათებიდან ყველაზე უფრო მოსწონებია ლენბახის „დედა და ბავშვი“, კაულბახის „მადელაინა“, რილდის „საკუნტალა“ და ბიოკლინის „მელანქოლია“, და უთქვამს, რომ შეიძლებოდა, ერთ-ერთ ამ მხატვართაგანს სიამოვნებით დავახატვინებდი თავსო.

- ასეთი შერევა სტილისა ვერ ამტკიცებს ქალბატონის ესეთიურ განათლებას.

- მაგიერათ იგი მოწმობს, რომ ოთხივე სურათშია ამ ქალის თვისებები... აი დაუკვირდით - ამ ღრმა თვალეში ოცნებაც არის, გამბედაობაც და შიშიც; მიმოხრას და სახეს ეტყობა, რომ თავის სიდიადეში დარწმუნებულია, და თან ერთგვარი განცვიფრებაც ატყვია ზოგიერთ ხანს...

- და ამით თქვენი თეორიაც მართლდება, რომ ხელოვნებაში საშუალო მცოდნეს, ხელოვნების მოტრფიალეს, მხოლოდ ის მოსწონს, რაშიაც მისი ნაწილი მაინც არის გამოსახული...

- ხელები, ხელები, - მხატვარმა სათვალეები გაისწორა, - ისინი სწორედ კაულბახს უნდა დაეხატა! გამაცანით ერთი...

- სიამოვნებით, ოლონდ აქ არ შეიძლება.

- რა თქმა უნდა, აქ არა...

ელი იღებს მიწოდებულ ხოხობს ჩქიფით,² კირტნის და თავში გაუელვებს:

„ამას მოუხდება მძაღე³ ან კვანარახი!⁴“

- კაბარე⁵ გათავდა? - ეკითხება ბრომლეი შორი-ახლო მდგომ მეტრ დოტელს.

¹ ყალბი - მხატვრის ფუნჯი

² ჩქიფი - ჩანგალი (სპ.)

³ მძაღე - სიძველით წამხდარი, მომწარი, მწკლარტე გემოს ნივთისაგან დამზადებული სანელებელი

⁴ კვანარახი - გათუთქული მწიფე ტყემლის წვენი, მოღულებული შესანახად - წუა.

⁵ კაბარე (ფრ.) - პატარა რესტორანი ესტრადითურთ

- არა, ბატონო ბრომლეი, ეხლა იქნება ყველაზე უფრო ეგზოტიკური ნუმერი,
- ძლივს ასწრებს უპასუხოს მეტრ დოტელი;

რომ ფარდა გაიშლება;

კონფერანსიე და

ინდოელი ბენ-საიდ;

ჭრელი ხალათი;

თეთრი დოლბანდი;

და თითქოს შეღებილი ყორნის ფერი შავი უღვაშები.

სალამი: წელში იკეცება.

ბენ-საიდმა სახელოდან გამოიღო მანამდე სრულიად უჩინარი დიდი კალათი.

კონფერანსიე:

- ჩვენს კაბარეს თავისი მობრძანებით პატივი დასდო ცნობილმა მეცნიერმა -
ბუნების მეტყველმა - პროფესორმა ~~ოტტო კირნერმა~~ ვთხოვთ, მე ვთხოვ
დირექციის სახელით, ნუ დაიზარებს და დაგვიმოწმოს, რომ ამ კალათაში მყოფი
ორივე გველი შხამიანია, და რომ მათ კბილები არა აქვთ დამძრალი...

ბენ-საიდი კიდეც გაიკეცა შუაზე.

- ვთხოვთ! ვთხოვთ!..

და მთელი კაბარეს ათასი თვალი სწრაფად შეიკრიბა და მიეკრთო სუფრას,
სადაც ისხდნენ ორი ახალგაზრდა ქალი და სამი კაცი.

ერთი ვაჟთაგანი ოდნავ უარზე იყო, მაგრამ ადგა და სცენაზე ავიდა.

ინდოელმა კალათს თავი ახსნა და ორი გრძელი, ჭრელი გველი ჩამოეკიდა ორ
მის ხელს.

პროფესორმა გასინჯა.

- გააღებინეთ. პირი!..

ბენ-საიდმა გველებს პირი დააღებინა.

პროფესორი ავანსცენაზე¹ გადმოდგა და გარკვევით განაცხადა:

- მე ვამოწმებ, რომ გასინჯული ორი გველი, და კალათაში მეტი არ არის,
ნამდვილად ეკუთვნის შხამიან ჯიშს, და მათ კბილები თავის ადგილზე აქვთ.

სცენაზე დარჩა მხოლოდ ბენ-საიდი, რომელმაც ერთხელ კიდეც თავიანთი სცა
მაყურებელთ და

საყველოდან ამოიღო კარგა მოდილო დიპლიპიტო,² ხოლო პირიდან დასაკრავი
ჯოხები.

მერე მორითხა სცენის წინა კუთხეში ფეხი და დიპლიპიტოდან რაღაც უცნაური
ტაქტი³ აღმოაცენა... გველებმა თავი ამოყვეს კალათიდან...

და სცენის უკანა ფარდიდან გამოხტა ქალი...

- საკუნტალა!..

- მშვენიერია! - შენიშნეს აქა-იქ.

¹ ავანსცენა (ფრ.) - სცენის წინა ნაწილია

² დიპლიპიტო - საკრავი; შედგება ერთმანეთზე გადაბმული ორი სხვადასხვა ზომის თიხის
ქილისაგან, რომლებსაც პირზე ტყავი აქვს გადაკრული, უკრავენ ორი მომსწო ჩხირით.

³ ტაქტი (ლათ.) - მუსიკალური მეტრული ერთეული

სრულიად გაცრცვილი: დაგრეხილი ოქროს ძაფით შემორტყმული, მჭიდროთ
ნაქსოვი, მაგრამ ქაფივით ნაზი დარაიას¹ ამოლიაგებული, უსახელო, მოკლე პერანგი.
თითქოს არ სცმოდეს...

შეკრეჭილი, შავი, აბურდული თმა.

აგურის ფერი მკვრივი სხეული;

ალეწილი,

მოქნილი,

ენებიანი თავიდან ფეხებამდე; და

უმწიკვლო დახვეწილი შავი თვალები.

შემოირბინა ქალმა არე,

დიპლიპიტოს ააყოლა სხეულის რხევას;

შუაში გაჩერდა,

ხელებს აპყრობილი,

და მიაჩერდა

ეხლა უკვე მოშხამული თვალთ ზოზინით მოსრიალე გველებს.

ერთი წინ მოდიოდა.

მეორე მოჰყვებოდა.

მიუახლოვდნენ.

შეხვდნენ ერთი მარცხენა ფეხის ცერს,

აჰყვა, ღვედევით შემოეკლაკნა კუნთებს, თავი შეჰყო ფეხთა თაღებს შუა.

და გამოჩნდა მარჯვენა გვერდზე; თავი დაადვა მარცხენა მკერდის კუკურს...

მეორე უფრო დინჯად და უფრო ვნებით ეხვეოდა ჯერ მარჯვენა ფეხს, დიდხანს
არ შორდებოდა შეხებულ ადგილს, მაგრამ მანაც მიაღწია საწადელს მკერდს.

და დაღლილი დაესვენა უძრავად.

ქალს შეხებაზე მთელს ტანში ჟრუანტელი უვლიდა; ცივი შეხება ცეცხლად
ზვდებოდა.

და ანთებული, რომ მთელ ტანს რგებოდა ნეტარება, დაწვდა ქვევით გველების
კუდს, და ჰაერში გააჩერა ისინი გაშლილ ხელის გულზე.

გველები მთელი სხეულით შემოეხვიენ დასხლეტილ მკლავეებს...

ქალი დატრიალდა და ჟინ მორეულმა დაავლო ხელები გველების თავებს,
გადაივლო ყელზე და ქვე ჩამოუშვა უცხო უღელის ტაბიკებათ.²

ქალმა მეტი ვეღარ გაუძლო, დაიღალა და რომ არაფერი ევნო გველებისთვის,
ფრთხილად დაეშვა ნოხზე.

გველებმა ჯვარედინად ერთხელ კიდეც გადაირბინეს ქალის სხეულზე და
თვით ქანც-გამოლეულნი, დასასვენებლად კალათაში დაიგრავნენ.

- საუცხოვოა,

- მშვენიერია,

- დიდებულია,

- ვაშა!

¹ დარაია - აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმის მანდილი.

² ტაბიკი - ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი; უღელში წყვილ-წყვილად არის ჩაყრილი
საქონლის შესაბამელად.

მაგრამ ვერც ქალი და ვერც გველები, განცდებისაგან მოთენთილნი, ვერ გამოდიოდნენ ფარდა ახდელ სცენაზე და მხოლოდ ერთი ბენ-საიდი იკეცებოდა.

ჯონ ჰექსლეი თითქოს არ იყო ამ ქვეყნად: სიგარის ბოლში გახვეული, ცეკვის დაწყებიდან აქამდე არ იძროდა ადგილიდან, და გაფართოებული თვალები თითქოს საუკუნოდ ინახავდნენ ამ სანახაობას.

ჰექსლეი ქალთან ერთად თითქოს გრძნობდა გველების სიგრილეს, მათ ხვევას... და საშინელი და საამო სწყუროდა...

ელის უეცრად მოაგონდა, როგორ გაექცა ახლად ჯვარდაწერილ ქმარს, ტფილისის ახლო, სადღაც სადგურზე, როგორ გადმოხტა რონოლიდან...

მაგრამ მოიკრიფა ნების-ყოფა, გააქნია თავი, თითქოს დაიბერტყა აზროვნება და მოგონება მოიშორა.

- ამ ზანტმა გერმანელებმაც კი გადააჭარბეს, - მიმართა ელიმ თანამსხდომთ, რომ მოგონებები ისევ არ მოსწოლოდნენ თავს.

ამ სიტყვებმა ჰექსლეის ბინდი გაჰფანტეს.

- როგორ მოგეწონათ? - დაეკითხა ჰექსლეი.

- მომწონს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს მეზობელს ჭამა შეაჩერებინა, - ქართულად უპასუხა ელიმ.

- რა ბოროტი ენა გაქვთ! - ფრანგულად უპასუხა ჰექსლეიმ.

- რა ბრძანა ქალბატონმა?

- უკაცრავად... - ოღნავ შეერთა ელი.

- არ მოსწონს ცეკვა... - გამოაკეთა უხერხულობა ჰექსლეიმ.

- რას ბრძანებთ, მშვენიერება!..

- არა, ქალი ვერ ცეკვავს ისე ეშხით, როგორც შეიძლება, - ჟინიანად განიძეორა ელიმ.

- უკეთესი მოცეკვავე მე არ მინახავს, - ჩაურთო სიტყვა ჰექსლეიმ.

- რა ვუყოთ, ჩემო კარგო, განა ყველაფერი გინახავთ?

- ვინ იცეკვებდა უკეთ?

- ეს არ ვიცი, მაგრამ ქალმა ვერ გამოხატა შიშის ჟრუანტელით ნარევი სიტკბობა.

- დამისახელეთ მაინც...

ეს უკვე ერთგვარ გამოწვევას ჰგავდა.

- აი თუნდაც მე... - მზაკვრულის ღიმილით წამოცდა ელის.

- რაო? თქვენ იცეკვებდით? - ბრომლეი ისეთის სისწრაფით შებრუნდა სავარძელზე, რომ სიგარის ფერფლი კალთაში ჩაუვარდა.

- რომ მიჭირდეს, როგორც იმ საცოდავ ქალს, დიადაც!..

მისტერ ბრომლეი ელის თვალებში ჩაძვრა:

- თუ თქვენ იცეკვებთ, მიბრძანეთ, რაც კი გნებავთ, მიყმეთ, თუ ეს საჭიროა.

- წამიყვანეთ ტფილისში, - თითქოს წამოცდა ელის.

ჰექსლეი:

- აკი მოგახსენეთ, აქედან წასვლა მთელი ჩემი საქმეების დანგრევას გამოიწვევს-თქო.

ბრომლეი ელის:

- რათ არ მიბრძანეთ ამდენ ხანს, ჩემთვის ეს ადვილი მოსაგვარებელი იყო.

(ჰექსლეის მიმართ) მე ვიცი, თქვენ გეშინიათ... ჰფიქრობთ, რომ აქციები კიდევ უფრო დაეცემა; მე ვყიდულობ ყველას... დღესვე.

- თანახმა ხართ? - ისევ დაეკითხა ბრომლეი ელის.

- კი!..

ჰექსლეის რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენა თითქოს შეუჩერა ელის დაბეჯითებულმა სახემ და, შეიძლება, ბრომლეის მეტად ხელსაყრელმა წინადადება.

- ... ოღონდ წამიყვანეთ ტფილისში.

„აი აქ თუ დავძლევ მეტოქეს“, - გაიფიქრა ბრომლეიმ.

- გაძლევთ სიტყვას.

ბრომლეი მთვრალივით ადგა სათანადო განკარგულების მისაცემათ.

- თუმც ჩემთვის ეს უმწვერვალესი ნეტარება იქნება, მაგრამ მე არ დამაბრალეთ.

- ავადმყოფურის ხმით, სახე ალექსილი ეუბნებოდა სუფრაზე გადახრილი ჰექსლეი ელის.

მაგრამ ელის აღარაფერი ესმოდა მოლაპარაკის: სინემატოგრაფიულად¹ თვალწინ მიუბრუნდა ბორანი მტკვარზე... ფიქრის გორა... პანსიონის² კვიპაროზები... მამა... სიონი... ნარიყალის ნანგრევები... ოთახი სადღაც ჩიხში... და სულ ბოლოს.

ტკბილი ძიძა.

- რას შვებით, გადაირიეთ?! - ჩაილულულა ყავახანაში შემთხვევით მყოფმა ვილაც ქართველმა.

- სულ ერთია! იქნებ ტფილისი ვნახო მაინც...

ცალკე დარბაზში, ხალიჩა-გადაფარებულ მაგიდებიდან სასწრაფოდ გააკეთეს სცენა.

თითქმის გადაცმაც კი არ დასჭირებია კაბარესთვის გამოწყობილ ელის - გაიშორა ცოტა რამ და მზად იყო.

თაყვანისცემით შემოვიდა ინდოელი.

დადგა კალათი. მიჯდა კუთხეში.

ფანჯრებში გამოჩნდა სილუეტები.

ყავახანის განსაკუთრებულად განებივრებულ სტუმრებთ ფარეშებმა³ მოახერხეს საიდანმე ეცქირნათ ცალის თვალთ მაინც.

შურდათ დანარჩენთ...

ბრომლეი ლონგშესზე⁴ მიესვენა ნეტარებაში სათვლელათ.

ჰექსლეი მიაწვა სავარძელს, თითქოს სცენისკენ მას უკვე რაღაც იტაცებდნენ. კარებში იდგა გაცრცვილ ტანზე ხალათ მოსხმული ინდოელი ქალი, განცვიფრებული, შურიანი და გატაცებული...

- დავანებოთ, ქალბატონო, ამას თავი, - გულწრფელად და რაღაც ტანჯვით შეევედრა ბრომლეი უკვე სცენაზე მდგომ ელის.

¹ სინემატოგრაფიული (ფრ.) - კინემატოგრაფიული (სინემა-კინო).

² პანსიონი (ფრ.) - საზღვარგარეთის ქვეყნებსა და რევოლუციამდელ რუსეთში - სასწავლებელი, სადაც მოსწავლეებს უზრუნველყოფენ ბინთა და კვებით.

³ ფარეში (არაბ.) - თავად-მზაურთა შინამოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე.

⁴ ლონგშესი - შეზღონგი - დაქანებული ზურგის მქონე სავარძელი.

- არა, მე უნდა, - ელიმ გადაყლაპა სიტყვა „დავიმსახურო“ და წინადადება ასე დაამთავრა, - ტუილსში წავიდე...

- არ ღირს ასეთ საფრთხედ... მე ისედაც წავიყვანო...

- არა! - ღიმილით უპასუხა ელიმ და მოსასხამი გადაადგო, - მან შეხედა, რომ ინდოელმა დიპლომატი დასაკრავად მოიმარჯვა.

ელის სხეული არ იყო არც თეთრი სხეული სლაველი ქალის, არც კრამიტი ინდოელის.

უცხოური კანი ქართველი ქალის - თეთრი. მაგრამ მზე-ნაკრავი, ფერმკრთალი, დახვეწილი, მაგრამ არა გათლილი.

ეკროპულ ჩარჩოში დენდათ¹ მოკვეთილი, ძველი ქართველი დარდიმანდი - ვინმე გიორგი შერვაშიძე ან შაქრო მალალაშვილი - თუ შეამჩნევდა, რომ დასცვენოდა უმანკოების ფიფქი.

ინდოელი უეცრად მივარდა ელის და დაყნოსა ტუჩებთან... ელიმ ღიმილით მოიშორა.

- არ შეიძლება, არ შეიძლება, ქალბატონს შამპანიური უსვამს, ღვინო, კონიაკი - არ შეიძლება!..

- არაფერია, პირს დაკვუმშავ, ნუ გეშინია! - იღიშება ჟინიანი ელი.

- ნუ ბოდავ, დაუკარი, - შეუბღვირა ჰექსელიმ.

- არ შეიძლება, ღვინო, შამპანიური, სუნი, - ბუტბუტებდა დამტვრეული ინგლისურით ინდოელი.

- რას სულელობ, ყველაფერს იხდის! დაუკარი მაგ ჯანდაბა! - მივარდა მეტრ დოტელი.

დაიწყო.

ბაგე-გაპობილი, კდემ-დაკარგული, თითქმის ტიტველი ქალი, ინსტიქტიურად ისწორებდა, სწეწდა, აბურბუშებდა აღმართულ ხელებით თმასა და ელოდა ეხლა კიდევ უფრო ზანტად, მწყობრად მოსრიალე გველებს.

და ამ უდროვო დროს ელის ნათლად ეხატებოდა თვალწინ... გაექცა ახლად ჯვარდაწერილ ქმარს, გადმოხტა რონოდიდან ტფილისის ახლო სადგურზე... ეშინოდა, განსაკუთრებით ყველაზე წარმოსადგენ, მტვერში გამურულ, შორიდან მოსულ, ალით გაწითლებულ ჯარის-კაცის, ღონიჯ-შემოყრილი, მეტის-მეტი აღელვებისაგან ზანტად რომ უახლოვდებოდა... „ხელს თუ შემახებს, გადავარდები ხრამში“. მაგრამ გრძნობდა, რომ ეს შეხება იქნებოდა უმწვავესი და უტკბესი... და შემდეგ... უცნობ კაცს, ქართველს, შემდეგ ქმარს, შვინდაძეს, ხელ-ჩაჭიდებული მიჰყავდა ალით განათებულ რონოდებთა შორის, რაღაც ბილიკით მოხერხებულად... ელი უკან-უკან იხედებოდა... და ის ჯარის-კაცი მხოლოდ ერთი თან მისდევდა... სხვები ჩამოშორდნენ... შემოუბრუნდა უცნობი ქართველი, ესროლა, წააქცია. ელის უნდოდა მივარდნილიყო წაქცეულთან და რაღაც მოემოქმენდა... რა? ეშმაკა იცის... მაგრამ შვინდაძემ ძალით წაათრია, ვერც კი მიხვდა, რისთვის მიიწვედა ელი... ეგონა გაღირია, ეგონა შეეცოდა!..

¹ დენდი (ინგ.) - ნატიფად მოღაზე ჩაცმული მამაკაცი; ფრანტი სულიერად და გარეგნულად არისტოკრატი.

ელის უნდოდა მოგონებანი მოეშორებინა თავიდან, მაგრამ არ ეყო ნების-ყოფა... ვერც გაინძრა, სხვა მიზნითაც იყო შებოჭვილი.

სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი და ეს ცეკვის შესაფერი გამოდგა - ვნებაში მიღევა აღნიშნა...

ქალი ცივი ტანის შეხებამ ნეტარებას მისცა, სრულიად დათრო. გველები ეხვეოდნენ მეტის აღტაცებით, ეკვროდნენ და ეტმასნებოდნენ თეთრ, ატლას კანს, რომელსაც ხელიც არ შეხებოდა თითქოს, ისე გამოიციქებოდა... ნაწხა და რბილს, მხურვალეს, ვნებიანს, გველებისთვის კი მწველს.

ქალის ამაყროლებელ რხევას, ხელისა და ფეხის თითებამდის მისულ ვნებას, გამოძვლავნებულს ცვარ-ნაკრავ სხეულზე, თვალთა ელვარებაზე, კბილების წითელბაგეთა შორის თეთრ კრთომაზე, შურით შესცქეროდა თვით ინდოელი მოცეკვავე ქალი; აღტაცებით და გაგიჟებით ჩაშტერებოდა ბენ-საიდი, გველების ჯადოქარი; გაქვავებული, დარეტიანებული, გაფართოებული თვალებით უხმოდ შეჰღაღადებდა სავარძელზე დაბჯენილი ჰექსელი... ბრომლეი ჩაკეცილი, მიკუჭული ეგლო დივანში სულ-განაბული, თითქოს ცქერას ერიდებო, რაღასიც ეშინოდა და თვალს ვერ აშორებდა.

გველები, ძველებურად მწყობრად შეძრენ ფეხებში, გამოჩნდნენ წვივებში, ისევ დაიკარგენ, და ისევ გადმოყვებს თავი ფერდებზე საკინძურ ჩამოვარდნილ პერანგში... აიწიენ, გადაიხლართენ და ჯვარედინად ერთმა მარჯვენა მკერდს, მეორემ მარცხენა მკერდს თითქოს სამუდამოდ დაადვეს თავი.

ქალი არ ჩქარობდა. ის უფრო და უფრო ცდილობდა შეესვა სიგრილე ტანთ-შემოჭერილ სხეულებისა და დაეღვეინებინა ამ მოალერსეთათვის თავისი არსების მზე...

- ჭეშმარიტად ეს არის გველების დმერთი ქალი! მჯობნის! მჯობნის! - ბუტბუტებდა თავის გაუგებარ ენაზე ინდოელი მოცეკვავე ქალი.

- ამ ქალით დავიპყრობდი, რომ გამოწყებოდეს, ინდოეთს, ყმად დამიდგებოდა მაგარაჯი¹ ღვთაებაა, მშვენიერებაა, - ფიქრობდა ბენ-საიდი.

- იგი ჩაიკრა, იგი მიისრისო გულზე, რა არის უმაღლესი! - ასე ფიქრობდნენ ინდოელი ბენ-საიდი, ფანჯრებში შემომცქერალნი რესტორანის სტუმრები და, მგონი, თვით კედლები, სცენა და განსაკუთრებით დიპლომატი, ახლა სრულიად ახელებული, გადარეული ყოველ საზომსა და ტემპს გადასული.

ქალი დაიხარა. გველთა კუდები ზე-აიტანა. გველები აქაც შემოეჭვდნენ დასხებილ მკვლავებს; ქალმა მოალერსე ხელები შემოავლო გველების თავებს... სიყვარულით გაჟღენთილი, ამღვრეული, მიხელებული თვალები ქვე დახარა და გაპობილი ბაგენი უნდოდა დაეკონა ჭრელ მიჯნურებისთვის, რომ შემდეგ ყელსაბმურად შემოეველო... დარეტიანებულ გედათ ტორტმანით დაეშვა ნოხზე.

სურათის დასამთავრებლად ესეც მშვენიერი გამოდგა.

სულ-განაბული იყო ყველა, აღტაცების გამოსათქმელად ელოდნენ წუთს, როცა ელი ფეხზე წამოდგებოდა.

გადასრიალეს ტანზე ურწმუნობმა და სისინით გაიზღაზნენ კალათებისკენ...

¹ მაგარაჯი - მაპარაჯა (სანსკრ.) - მთავრის (თავადის) უმაღლესი ტიტული ინდოეთში.

პირველი ჰექსელი გაექანა. გზაზე ერთს გველს ქუსლი თავში ჩაჰკრა, და როცა მივარდნილი ინდოელი ხელის შემლას უპირებდა, მუშტით მწვარივით მიაგლო შორეულ კუთხეში.

მეორესკენ გაექანა, მაგრამ მოაგონდა, რომ მისი მოკვლა არაფრად ღირდა და დაიღრიალა დაჭრილივით:

- ექიმი!

წუთით დაცარიელებულ ოთახს მიაშურა ყველამ.

მიხვდენ ინდოელები, კარგი არაფერი მოელოდათ და მიიმალნენ გველებიანათ, კარებში კი მოასწრო ბენ-საიდმა მეტრი დოტელისთვის ჩაფუჭუნებია:

- აკი ვსთქვი, შამპანიური, ღვინო, სუნი არ შეიძლება-თქო.

გვერდზე თითქოს წამოწოლილი ქალი, გულადმა გადმოაბრუნეს, ხელი მოაშორებინეს ლოყას, და მაშინ დაინახეს ყურის ძირში შემხმარი ერთად ერთი წვეთი სისხლი.

ექიმმა მობანა.

- მობანას სისხლის ამოწუნა სჯობია, - შენიშნა ვიღამაც.

ბევრი წაიწია.

- ოღონდ გაფხაჭხული არ გქონდეთ ნონა, ან ამოხრული კბილი.

შეჩერდენ.

ბრომლევი საქმიანად მივიდა, იარა ამოწუნა.

ქალმა თვალი გაახილა.

პირის კანი დარბილებულიყო შესახედავადაც კი.

- უშველეთ... მამას! შელოცვა... როსკანმა... გამომიგზავნოს...

- რაო? - იკითხა ბრომლევი.

განუმეორეს.

იმავ წამს არიწკინდა ტელეფონები, ტელეგრაფი, რადიო; ვიღამაც ბრძანა, ვიღამაც გაგზავნა და...

თბილისში

გაუგებარმა რადიომ

ვიღაც განაცვიფრა;

ვიღაც გაბრაზდა;

მილიცია აფორიაქდა;

ვერ გაიგეს,

ეგონათ რაღაც ხერხი - რაღაც ნიშანი;

ბანკის გამგე გაიწვიეს.

ვიღაც დააკავა მილიციამ.

ყოველ შემთხვევისთვის...

იჭვები გაფანტა ინგლისის საკონსულოს თანამომდევნო ტელეგრამამ.

და

არიწკინდა ისევ ტელეფონი.

ტელეგრაფი არაკუნდა

და

სოფლის მახლობელ სადგურიდან ქაფში გაკლებული ორი ცხენი მიადგა როსკანის ოღას.

ყმაწვილმა მხედარმა მოხუც დედაკაცს თხილის ჯოხი დაუგლო წინ.

ქალი აბუტბუტდა თბილი წყლით სავსე კარდალაზე¹.

„სახელითა მღვთისათა, მამისა და ძისათა, და წმინდისა სულისათა; ლოცვა ნაკებნისა, გველის ასპიტისა, სანთე, რონთე, კანთე, როქაფთეს, ასმათეს; ამ ლოცვით გველი ასპიტი მოკვდეს, და ნაკებნი მისი მორჩეს...“

და თან ჰაერში, წყლის ზევით, რაღაც სამისნო ხაზებს სხაზავდა ხელით.

ერთი ჭიქა შენალოცი წყალი მოსულს დააღვეინა და ორი ჭიქა ბოთლში ჩაუსხა ავადმყოფთან წასაღებათ.

პირველი ცხენოსანი ოთახიდან გავიდა.

მეორე ცხენოსანმა დედაკაცს სთხოვა შელოცვის ჩაწერა.

უარი თავის გაქნევით.

- რამდენიც გინდა მთხოვე.

- 500 მანეთი - დედაბერს - ეს თანხა ოცნების სწავლად მიაჩნდა.

მისცა და...

და რადიომ ყველასათვის გაუგებარი სიტყვები გადაიტანა იქ, სადაც დაქირავებული იყო უკვე მთელი ლაბორატორია, დარაჯობდენ, თათბირობდენ ლონდონიდან, ბერლინიდან და ვენიდან გამოწერილი მსოფლიოში განთქმული დოსტარქები და სადღაც კალკუტის² უნივერსიტეტის კლინიკიდან მიიღეს ცნობა, რომ ახლად გამოვლილმა შრატმა ვერ გაამართლა იმედები, - იგი შხამის დამძლევი არ აღმოჩნდა, არამედ დაგვესვლის მიმდინარეობას მხოლოდ აგრძელებსო.

.....

- დიდ ბოდმს ვიხდი, მაგრამ ჩემი გაკოტრება არ გენებებათ... პასაჟირები² სქ. პასაჟირი - пассажир - მგზავრი. გადასვლას აპირებენ... გთხოვთ, რაც შეიძლება სასწრაფოდ...

ბრომლევი წინადადება არ დაამთავრებინა:

- მთელი სასტუმრო ჩემი დაქირავებულია, ვისაც ნებავეს, დარჩეს უფასოდ, ვინც გადასვლას მოისურვებს, ჩემის ხარჯით გადაუტანეთ ბარგი... ვინც ვერ გაასწორებს ანგარიშს, მე დამაწერეთ. ეს საუკეთესო რეკლამაა, და დიდი მოგება იქნება თქვენთვის.

სასტუმროს შეფმა ჯერ ვერ გაიგო განკარგულება, ხოლო შემდეგ გახარებულმა თავის კვრით დაიხია კარებისკენ.

- მოითმინეთ, - მიაძახა ბრომლევი, - გთხოვთ, მთელ სასტუმროს ზედა სართულიდან ქაფენილამდე შავი ხავერდი ჩამოაფაროთ... ისე, რომ არსად მოსჩანდეს კედელი, ფანჯრებსა და კარებს ყვავილ-გრეხილებით შეამკობთ; ქვევით მალაჩიებს, თქვენ მოურიგდებით, რომ დაკეტონ და სამგლოვიაროდ მოწყობის ნება დაგართონ...

- ვეცდები.

- კი არ ეცდებით, შეასრულებთ!

¹ კარდალა - კარდალი - მომცრო ქვაბი.

² კალკუტი - ქალაქი ინდოეთში.

.....

- მცირე დრო გვაქვს... სამგლოვიარო მარშის დაწერა ყოვლად შეუძლებელია.
 - მე არ მოვიტხოვ, რომ თქვენ დასწეროთ ახალი, ორიგინალური რამ...
 სრულიად საკმაოდ ჩავთვლი, თუ განსვენებულის უჩვეულო მდგომარეობის თანახმად
 თქვენ შეადგენთ ერთ რასმე, თუნდაც ერთმანეთში გადაბმულს, ისე, როგორც
 შემთხვევით გადაბმული იყო ერთმანეთში ამ მშვენიერი ქალის ცხოვრების
 სხვადასხვა ეპიზოდი: შავი ზღვის პირად რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა; თავადის
 ქალი; ქმარი აშარი და ქმარი ლაჩარი; უკიდურესი სიღარიბე; ქმარ-შვილის
 სიყვარული და... პარზი: ფუფუნება; კეკლუცი ქალის მდგომარეობა... სული კი
 მაღალი. სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში თქვენ ჰპოვებთ მასალას...
 უკაცრავად, მე უკვე შევეჩარი თქვენს დარგში...

მდივანმა პატრონის განმარტება ჩაიწერა და შენიშვნათ გაუკეთა „გ“; - რაც
 ნიშნავდა - „გენიოსია ბრომლეი“.

„სიმდიდრე სითამამეს აძლევს და სითამამე კი ზოგჯერ მიმხდურია“ - უფრო
 მდარეთ დააფასა გულში კომპოზიტორმა ბრომლეის მოსახრებანი და ხმა-მაღლა
 კი უპასუხა:

- ასე შეიძლება... მოხერხდება.
- დასწავლა როდისღა მოვასწროთ? - ჩაერია ლოტბარი.¹
- ნაწილ-ნაწილად, რასაც აარჩევთ, ის დასწავლეთ... ნოტების შექმნა, გადაწერა
 და სხვა დაუზოგველად... კანტორა ავინაზღაურებთ... რეპეტიციები ავტომობილზე
 აწარმოეთ...

.....

ქაშვეთის ეკლესიაში, პანაშვიდზე, დიდი საზოგადოება არ შეკრებილა.

ყველას თავისი ლოდი აწვა გულზე.

მოიკითხეს შალვა; ვერ ჰპოვეს.

- ბავშვი სადღა? თითქოს არც კი ჰყავდაო, ისეა მივიწყებული.
- სოფელშია გამიძავებული, ეხლა უსათუოდ ფშვინავს უმანკოთ, და არ იცის,
 რომ დედა მოუკვდა და ბაბუაც საეჭვოა რომ ცოცხალი იყოს...
- ასე მივიწყებული ბავშვი, იქნებ, უკეთესიც გამოვიდეს: ლალად გაიზრდება,
 - ოცნებით შენიშნა მეორემ.
 - არ იყო შესრულებული შელოცვის ყველა წესები.
 - ამ სივრცეზე როგორ იმოქმედებდა?
 - სისულელეა შელოცვა! ვის სჯერა? როგორ გეკადრება!
 - ჩვენში კი მოარჩინა ერთი გლეხი, სარწმუნო წყაროებიდან ვიცი...
 - იშვიათი ქალი კი იყო...
 - საწყალი შეინდაძე...
 - მისი ბრალია... ყველაფერი ახია, რაც დაემართა... ეს მაინც არ ემსხვერპლნა!...
 - ელია დამნაშავე! რათ გაჰყვა? კაცი აღარ იყო ჩვენში?!...
 - შეიწირა ერთი ადამიანი და რა ადამიანი!...
 - თვითონაც ზომ დაიღუპა, მეტი რაღა გინდათ?!...

¹ ლოტბარი - მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.

- იკითხოს საწყალმა ელიმ!!.. რა საკვირველია სიკვდილი!...
- ასეთი სიკვდილი სჯობია განაწამებსა და გამვალტყავებულ სიცოცხლეს...
- შენიშნა თინომ; ამ პანაშვიდზე მას გამოეფინა ახალი სწაფხულო ქუდი და
 კურტნისოდენა¹ რელიკული.

.....

ბრომლეი 7 საათზე ჩვეულებრივ შეუდგა საქმეს.

წარუდგა მდივანი.

- დღესთვის?
- ყველაფერი მზად გახლავთ...
- ავტომობილები, ჰაეროპლანები, სადილი, კატაფალკა,² ისეა, როგორც
 გადავწყვიტეთ?...

- დიახ!

- ხალხის გამასპინძლება ქართულის ჩვეულებით.

- ათი ათასისთვის მარსის მოედანზე...³ თუ დაგვჭირდა 15 ათასი ნამარაგეია...

- ქანდაკება?

- როცა ბაღს ავტომობილებიდან გადმოვიტანთ და ეზოში გავაშენებთ,
 ქანდაკებაც მოგვისწრებს... გამოთვლილია.

- ეხლა რა არის გაკეთებული?

- აი, მიირთვით ფოტოგრაფია.

- კეთილი... მორიგი საქმეები?

- ლონდონიდან გვთხოვენ პურის მთელი მარაგი გადავცეთ,

- მოგება?

- 4%;

- მთელი მოგება?

- 100.000 დაახლოებით...

- სწორი რიცხვი?

მდივანმა ქალაქები გადაფურცლა და მოახსენა:

- 98.694.

- რას ამბობს ჩვენი წარმომადგენელი?

- ეს უდიდესი ფასიაო, აწი დაიკლებსო, რადგან არგენტინიდან პური დაიძრაო.

- თანახმა ვარ. შემდეგი?

- ხომალდები იყიდება ორჯერ მეტად, ვიდრე სავარაუდოთ დაგავალეთ აგენტს.

- რათ მოხდა ეგრე?

- ფასი ერთი თვის წინად იყო მიცემული, მაშინ აგენტმა თავისი პასუხისმგებლობით
 და თქვენის თანხმობით გაყიდვა შეაჩერა...

- ვიცი, ვიცი... მე გკითხეთ, ასეთი შეცდომა რატომ მოგივიდათ-მეთქი?

¹ კურტანი - 1. ტვირთის საზიდავი კეხი სახედრისა. 2. ადამიანის მიერ ზურგით ტვირთის
 საზიდავი საზურგე.

² კატაფალკა - კატაფალკი - მიცვალებულის გასასვენებელი ეტლი ან ავტომობილი.

³ მარსის მოედანი - მოედანი ქ. მიუნხენში.

- ჩვენს აგენტს სკოდნია წინათვე, რომ ექსპორტიორები ტრანსპორტის მონოპოლიას იგდებდნენ ხელში, რათა საჭირო დროს თავის წრიდან გამოერიცხათ არა სასურველი პირები... და სწორედ როცა „ამერიკინდოს“ კომპანიას უნდოდა გემები დაეჭირავეთ, მოულოდნელად გაიგო, რომ გემები დაკავებულია. კომპანიამ ჩვენ მოგვმართა...

- გადაეცით ჩემი თანხმობა და ჩემ მიერ დანიშნულს ფასზე ზედმეტ თანხიდან 10% მიეცეს ჩვენ აგენტს გამჭირაობისათვის; მისწერეთ აგრეთვე, რომ „ამერიკინდოს“ კომპანიას გაუწიონ ყოველგვარი დახმარება და მისცენ შეღავათი, რამდენადაც ჩვენთვის საზარალო არ იქნება... შემდეგი?

- ჩვენი აქციები ეცემა.

- ეს უსათუოდ ჩემი აქაური, - ბრომლეიმ ვერ მონახა სიტყვა, - შემთხვევის გამო...

- დიხ, უეჭველია, და ჩვენ შეგვიძლია დიდათ ვისარგებლოთ... ერთი-ორი ზარდამცემი ტელეგრამა აქედან, და ჩვენ შევიძლებთ ნახევარ ფასად შევიყიდოთ...

- არა! - გააწყვეტინა ბრომლეიმ სიტყვა მდივანს, - ამ შემთხვევაში მოგება არ მსურს; პირიქით, ესლავე გადაეცით რადიოთი საქმის ნამდვილი ვითარება და დაამშვიდეთ აქციონერები, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეუფერხებელს წარმატებით მიდის... შემდეგი?

- დანარჩენი წვრილმანებია, რომელთა შესახებ აღარ შეგაწუხებთ... აი თამასუქების დასაფარავად განკარგულება ბანკს და სხვა...

და მდივანმა გადასცა განკარგულებები, რომელნიც მუსაიფის დროს გასცა პატრონმა, და რომელსაც საჩქაროდ ბლოკნოტზე სწერდა მდივანი.

ბრომლეიმ ორიოდე ასო მოაწერა და გავიდა თავის მცირე კაბინეტში.

მდივანმა განცვიფრებით თვალი გააყოლა;

- „მოგებაზე უარს ამბობს... საკვირველია!“

ბრომლეი მიუჯდა მაგიდას, თავი ხელებს დააპყრო და ორიოდე წუთი თითქოს ისვენებდა.

- მიცვალებულის პატივისმცემლნი ყველანი შეიკრიბენ...

- აბა, მსახურს უბრძანეთ ჩამაცვას, რაც ასეთს დროს შეეფერება... დაუძახეთ მდივანს.

გადაცმის დროს ბრომლეი მდივანს ეუბნებოდა:

- შეადგინეთ მთელი ხარჯთ-აღრიცხვა ღამის 11 საათამდე.

- ძნელია: თეატრები, კინოები და სასადილოები ვერ მოგვცემენ ცნობებს...

- ივარაუდეთ იმდენი, რომ დასამატებელი აღარაფერი დარჩეს... ზედმეტი კი გადაეცით აქაურ ღარიბთა თავშესაფარს... ერთის სიტყვით, მთელ ანგარიშს მე ხელი უნდა მოვაწერო ღამის 11 საათზე. 12 საათზე გადავიფრენტ ჰაეროპლანით ქრისტიანიაში... და ხვალ დილას აღარაფერმა უნდა მომაგონოს უკანასკნელი დღეების მიუნხენი...

.....

- საკვირველი ხალხია ეს რუსები, - ჩაიფრჩხვლა ბებერი.
- ესენი ხომ რუსები არ არიან, ბაბუა!
- სულ ერთია... ჰო, ჩემს ბავშვობაში აქ ვილაც იაკუბოვიჩი იყო... ერთ დღეს მთელ მიუნხენს გამოუცხადა, ვისაც რამდენი ლუდი გინდათ, ჩემს ხარჯზე სვითო...

- აბა თქვენც დალიეთ არა, ბაბუა?..
- იცოცხლე!.. მთელი ქალაქი ძმაღებებივით! დაბანცალებდა... მერე, აი ახლა, ოცი წელი იქნება მას მერე, მე ვხვდებოდი ერთ ყმაწვილ სტუდენტს, დიდი მდიდარი არ უნდა ყოფილიყო, შეიყიდა რაც პარკში ბუშტები ჰქონდათ, დაურიგებდა ბავშვებს... ბავშვების სიხარულზე ისიც მომღიმარი დარბოდა მათთან... ამბობდნენ, ზოგჯერ მთელ თავის ფულს ამ ბუშტებში აძლევსო...

- მართალია, მართალი! ერთხელ ჩემ პატარა დასაც ერგო ბუშტი... ჰა, ჰა, ჰა...

.....

სამს ერთმანეთზე გადაბმულ საბარგო ავტომობილზე გაეშენებიათ მთავორიანი ბაღჩა, ბალახით, პაწია გზებით, კოშკის ნანგრევითა და ვარდ-ბუჩქნარით...

შუაში ესვენა ყვავილების გრეხილებიდან დაწნული კუბო. მას მიჰყვებოდა მოფარდაგებულ ავტომობილზე მჯდომი სიმებიანი ორკესტრი. და შემდეგ მიცვალებულის პატივისმცემელთა უთვალავი ავტომობილები, რომელთა შორის აქა-იქ ჩადგმული იყო ვეებერთელა მოძრავი თაიგულები.

წინ გზაზე ჰაერიდან სცვიოდა ფერად-ფერადი ვარდები, რომელშიაც მტვრად ირეოდა ატმისა და მიმოხას ყვავილების ნაწი ფოთლები.

ამ წვიმას ჰქმნიდა თითქმის უხმოდ მოსრიალე ჰაეროპლანები, რომელნიც მორიდებით ეშვებოდნენ მირს და ისევ აღმართებოდნენ მაღლა.

პროცესია კრემატორიუმის² გაღებულ ჭიმკარს მიაღდა.

შეჩერდა ორკესტრიც.

ავტომობილები მგზავრებს სასწრაფოდ ჩამოსვამდენ და გზაზე ორ მწყობრიგად დგებოდნენ.

კუბო ნელა გადავიდა განსაკუთრებულად მოწყობილ ლიანდაგიდან ბაქანზე... პატივისმცემლნი სამის მხრით შემოეხვიენ...

კუბომ გადასრიალა ბაქანი, იწყო კრემატორიუმის შენობაში შესვლა... გაიარა დიდი დარბაზი... ნელ-ნელა მიიმალა ფარდებს იქეთ...

საზოგადოებამ დარბაზი დასტოვა.

ავტომობილებზე გამართული ბაღჩა ეზოს შუაგულში გადაეტანათ; ბაღჩის შუაში - კუბოს მაგიერ, ეხლა აღმართული იყო ზღვის სრუტეს მოხაზულ ნაპირთან, სადაფის ჯურღმულიდან ამომავალი ქალი.

ელის ქანდაკება.

¹ ძმაღე-ძმაღი - დედოფლის, პატარძლის გამყოლი კაცი - ძმობილი.
² კრემატორიუმი - კრემაციისათვის მოწყობილი შენობა (კრემაცია-მიცვალებულის გვამის დაწვა სპეციალურ ღუმელში).

მხოლოდ აქ დამთავრდა ოთხ ნაწილად შედგენილი სამგლოვიარო მარში, რომელშიაც იყო სამხრეთის მზე, ტფილისის სევდა, ავტომობილის საყვირი, პროპელერის ხმაური, პარიზის ყავახანის როკვა, ჩინეთის აბრეშუმის დანელებული შრიალი, ბრომლის უსაზღვრო პატივისცემა, თინოს შურიანი ღიმილი, გველის სრიალი ქალის უზადო ტანზე, საიდუმლო შელოცვა და ყველა ამას გარს ეხვეოდა სულთმობრძავი შალვას ხრიალი, რამინოს მშვიდი ცქერა და საქართველოს მივარდნილ სოფელში გამზრდელი მამიდის უხმო, ბებრული ქვითინი, ტირილი და ზოგჯერ მოთქმა...

კრემატორიუმის გამგემ მოქანდაკეს გადასცა ოქროს მედალიონში მოთავსებული ელის დამწვარი ნეშტი. ხელოვანმა იგი ჩამალა ქანდაკების გვერდში დატოვებულ დრუში, სახურავი დააფარა და თავი მოუგნისა.

ელის ზომ უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლო მიმოებნიათ!..

(1928 წ.)

კითხვები და დავალებები

- რას ნიშნავს სახელი ელპიდე და რატომ დარჩა იგი მხოლოდ საბუთებსა და დიდუდას ლოცვანში?
- რა შთაბეჭდილება დატოვა გრაფ ვლადიმერ ანდრეის ძე ბორენკოვის საქციელმა თანამეინახეებზე?
- როგორ იმოქმედა ამ სურათმა ელიზე? თქვენზე?
- რატომ გაუნარდა ელის დაქორწინება იერონიმე შვინდაძეზე შალვა გორდელიანს?
- თქვენი აზრით, სამართლიანია თუ არა ელის შეხედულება იერონიმეზე?
- ტექსტის მიხედვით გადმოეცით 1918-20 წლების საქართველოს სურათი.
- როგორ მიიღო ახალი თავყანისმცემელი გორდელიანის ქალმა.
- რა პრობლემების წინაშე დგას ქართველი ქალი (თინოს სახით) ოციან წლებში?
- როგორ განჭვრიტა წინასწარ რამინომ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება? დაასაბუთეთ!
- რატომ დაუკავშირა ელიმ თავისი ბედი ჰექსლის?
- თქვენი აზრით, დიდხანს გაგრძელდებოდა მათი ურთიერთობა?
- როგორ ახსნით შალვა გორდელიანის „მწარე ღიმილით“ ნათქვამ სიტყვებს: „...მე ვალდებულებებით ვარ დატვირთული, როგორც ვირი - მისთვის უსარგებლო მარილი“...
- სად მთავრდება ელის ცხოვრების პირველი ნაწილი?
- რითია მნიშვნელოვანი გორდელიანის ქალის კავკავში ჩასვლა?
- რა მიზნით აფარებდა გორდელიანის ქალი თავს მუხუშუმებს?
- ვინ არის ბრომლი?
- გადმოეცით, როგორია ჰექსლის თვალთ დანახული საქართველო.
- რა აკავშირებდათ ელისა და ჰექსლის?
- რამ გამოიწვია ბრომლის დაინტერესება გორდელიანის ქალით?

- როგორ იმოქმედა ელიზე რამინოს წასვლამ? რატომ?
- ვინ არის რამინო და რა ადგილი უჭირავს მას ჰექსლის ცხოვრებაში?
- რა გაირკვა ჰექსლის შესახებ?
- როგორ მიიღო გორდელიანის ქალმა ბრომლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია?

- როგორი შთაბეჭდილება დატოვა ყავახანაში მჯდომ ორ ჭაბუკ მხატვარზე ელიმ? მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილი და გადმოეცით.
- რას ნატრობს გორდელიანის ქალი ვახშობისას?
- როგორ შეაფასა ინდოელი მოცეკვავე ქალი ელიმ?
- რა მიზანი ჰქონდა გორდელიანის ქალის ცეკვას?
- გადმოეცით ელის განცდები და ფიქრები ცეკვის დროს.
- როგორ დასრულდა ყველაფერი?
- რისი იმედი აქვს მომაკვდავ ელის?
- რატომ ვერ უშველა ელის როსკანას ლოცვამ?
- თქვენეული შეფასება მიეცით ქაშვეთის ეკლესიაში ელისთვის გადახდილი პანაშვიდის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს.
- აღწერეთ გორდელიანის ქალის დაკრძალვის ცერემონიალი.
- როგორ ახსნით ავტორის სიტყვებს: „ელის ზომ უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლოს მიმოებნიათ!“?
- რატომ უწოდა მწერალმა მოთხრობას „შელოცვა რადიოთი“?
- თქვენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა, ეშველა როსკანას ლოცვას საქართველოდან მიუნხენში მყოფი გორდელიანის ქალისთვის?
- რატომ დაიღუპა ელი მაინცა და მაინც მიუნხენში და არა, ვთქვათ, პარიზში ან ბრიუსელში (იმიტომ ზომ არა - დედით გერმანელი რომ არის)?
- როგორ ახსნით ეპიგრაფს?
- დაძებნეთ ტექსტში ელის სულისა და ხორცის ჭიდილის ამსახველი ადგილები.
- ტროპის რომელ სახეებს იყენებს ავტორი ტექსტში? დაასახელეთ მაგალითები!
- რა შემთხვევაში მიმართავს ნ. ლორთქიფანიძე რუსთველის გამონათქვამებს?
- რამდენ ნაწილად დაყოფდით ტექსტს?

იმაჯელეთი თემაზა

- „სადაურსა სად წაიყვან“
- „უცხოობაში რაა სიამე“
- „ვაჰ, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადავე“..
- ჰექსლისა და ბრომლის შედარებითი დასასიათება;
- ელი გორდელიანი - უცხო ნიადაგზე გადარგული ხე;
- რამინოს სახე;
- ოციანი წლების საქართველო.